სპეციალური გაზეთი

№6 (739)
ოთხშაბათი
21 თებერვალი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

„ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოს“

ლევან მამალაძე:
დასავლეთი ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების გამო ეგრძვის

პეტრე მამრაძე:
ამ მოზაიკით, ეგრეთ წოდებული ოპოზიციისგან ღირებული ძალა ვერ შეიქმნება

ამირან სალუქვაძე:
ვინ დაამტკიცებს, რომ ალექსეი ნავალნის რუსეთი ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა

„ლიბერალური დემოკრატია“ – ნორმა თუ არჩევანი?

ბონდო მძინარაშვილი:
ტელევიზია პოლიტიკური კლასის ხელში მახვილია – პოლიტიკოსები ჟურნალისტებით ხმალაობენ

ნიკუშა შენგელაია:
თუ ღმერთს უარყოფ, ყველაფერი კრახით დამთავრდება

ორმაგი გამარჯვება, ორმაგი სიხარული

ქართველ ერსაც გადასალახი აქვს თავისი წილი ქართული უდაბნო

— არა იარაღით, არა ძალადობით, არამედ მხოლოდ მშვიდობიანი წინააღმდეგობით თუ მივაღწევთ სასურველ შედეგს. ამგვარი ბრძოლა მაღალ სულიერებას, ზნეობრივი და მორალური ნორმების ერთგულებას, კეთილშობილებას, შემწყნარებლობას მოითხოვს ჩვენგან. ეს ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ბრძოლაა საკუთარ მანკიერებასთან, ბრძოლა იმისთვის, რომ უკეთესები გავხდეთ. ინგლისელები კი არ არიან ცუდები, ჩვენ არ ვართ კარგები. გავხდეთ უფრო კარგები და ჩვენ მოვიგებთ ამ ომს — არწმუნებდა განდი ინდოელებს.

იგივეს ეუბნება ბიძინა ივანიშვილი ქართველებს, თუმცა ქართველებს მაინცდამაინც ნათლად არ ესმით ამ მოწოდების დედააზრი და გამარჯვების მოპოვება მამაპაპური წესით, მუშტის ერთი დარტყმით, უფრო მარტივი და იოლი ჰგონიათ.

შეუპოვრობა ჭეშმარიტებაში საკუთარი მანკიერების ძლევის გზა, არაძალადობრივი, მშვიდობიანი წინააღმდეგობა, ზნეობრივი ნორმების დაცვა, ხანგრძლივ დროს და, რაც მთავარია, შრომას, ენერგიის ხარჯვას მოითხოვს, ჩვენ კი, ქართველები, ცოტა წავიზარმაცებთ და ამიტომაც მოწინააღმდეგის ერთი დაკვრით ნოკაუტში ჩაგდება უფრო გვირჩევნია.

ბიძინა ივანიშვილი ხშირად ამბობს სიტყვას მსოფლმხედველობა, თუმცა ქართველებს, რომლებსაც დიდი ხანია სიტყვების შინაარსი არ აინტერესებთ, არც ამჯერად მოუკლავთ თავი იმის გაგებით, რას გულისხმობს და საერთოდ, რა მსოფლმხედველობაზე ლაპარაკობს ივანიშვილი?

რა მსოფლმხედველობაა ეს და რა პრინციპებს და რა ღირებულებებს ეფუძნება იგი?

ერთი შეხედვით, ივანიშვილი თითქოს მაჰათმა განდის მოძღვრების პირდაპირ კალკირებას ახდენს, თუმცა სინამდვილეში მისი მოსაზრებები ღრმად ქრისტიანული და აბსოლუტურად ქართულია.

სამწუხაროდ, ექსპერტებს და ანალიტიკოსებს ჯერჯერობით არ გაუშიფრავთ და არ გაუანალიზებიათ ის იდეოლოგია, რასაც ივანიშვილი გვთავაზობს და არც იმ ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე გაუმახვილებია ვინმეს ყურადღება, რომლითაც ივანიშვილი ამ იდეოლოგიური პლატფორმის ცხოვრებაში განხორციელებას აპირებს.

დასანანი და გულსატკენია, რომ ბიძინა ივანიშვილის პიროვნებას ასე ზერელედ, ზედაპირულად და პრიმიტიულად აფასებს ქართველი საზოგადოება — გამოჩნდა მდიდარი ადამიანი, სიკეთის ქმნისკენ მიდრეკილი მილიარდერი, რომელსაც ბიზნესი მოსწყინდა და ახლა პოლიტიკოსობა მოესურვა.

არადა, ბიძინა ივანიშვილის მილიარდები საერთოდ არაფერ კავშირში არ არის იმ კონცეფციასთან და იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ივანიშვილს, უალტერნატივო და ერთადერთ საშუალებად მიაჩნია გამარჯვების მისაღწევად.

ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ღირსეულ გამარჯვებამდე რთული და ძნელი გზის გავლა შესთავაზა, ერთი აუცილებელი პირობით — ამ გზას იგი ქართველ ხალხთან ერთად გაივლიდა და ყველა იმ გასაჭირს, ყველა იმ ხიფათს გაიზიარებდა, რაც ამ გზაზე მის თანამგზავრ ქართველ ხალხს შეხვდებოდა.

მას სრულიად უმტკივნეულოდ შეეძლო თავი აერიდებინა ამ სახიფათო გზის გავლისთვის და სახლიდან გამოუსვლელად, რბილ სავარძელში ჩამჯდარს მიეღო იმდენი ძალაუფლება, რამდენსაც მოისურვებდა, მაგრამ მან უარი თქვა ამ კომფორტულ ცთუნებაზე და თავისი თავის, როგორც პოლიტიკოსის, შექმნა და გამოძერწვა საკუთარი ხელით ირჩია.

ეს გზა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ერთგვარი გამოცდის და სულიერი წრთობის გზაც არის და იმის მინიშნებაც, რომ არ შეიძლება გამარჯვებას ერთბაშად მიადგე — სანამ გამარჯვებამდე მიხვალ, რაღაც გზა უნდა გაიარო, რომ ბევრი ფიქრი მოასწრო თუნდაც შეცდომების დაშვება მოასწრო, რომ მერე ისწავლო ამ შეცდომებზე და გამარჯვებამდე ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მიხვიდე.

ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, მოსულიყო პოლიტიკაში და დაეწყო ნულიდან, დაეწყო სუფთა ფურცლიდან, არის გადაწყვეტილება იმ კაცისა, რომელმაც ასევე ნულიდან დაიწყო ბიზნესი და საკუთარი შრომით, ნიჭიერებით, გამჭრიახობით, მიზანსწრაფულობით და, რაც მთავარია, წესიერებით, ერთერთი უმდიდრესი ადამიანი გახდა.

ბიძინა ივანიშვილის კრედო, მისი ფილოსოფია შემდეგში მდგომარეობს: ადამიანმა თვითონ უნდა „ააშენოს“ ტაძარივით საკუთარი თავი, თვითონ უნდა სრულყოს და დახვეწოს ისე, რომ ამ ტაძარმა დროს გაუძლოს და თანამედროვეთათვის და მომავალი თაობებისთვის ორიენტირად იქცეს.

— მე არ მოვდივარ ვინმეს დასამარცხებლად, მე ყველა ქართველის გასამარჯვებლად მოვდივარო, — თქვა მან თავის პირველსავე წერილში.

კარგად ჩავუღრმავდეთ ამ სიტყვების შინაარსს და ნუ ვაიძულებთ მას დაემსგავსოს მათ, რომლებიც ძალადობით და სისასტიკით ცდილობენ ქვეყნის დაშინებას და დამონებას.

არადა, დროის ამ უმცირეს მონაკვეთში, ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ის უკვე შედგა, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი, რომელიც არც თავისი წინამორბედებიდან და არც თავისი თანამედროვეებიდან არავის არ ჰგავს.

ბიძინა ივანიშვილი ქართული სატიაგრაჰას ქართულ მოდელს ქმნის და ეს არის ერთადერთი საშუალება, რომ ქართველმა ერმა წარმატებით გადალახოს თავისი წილი ქართული უდაბნო.

ვახტანგ ხარჩილავა
„ს.გ.“ 2014

ბიძინა ივანიშვილი უნიჭიერესი პოლიტიკოსია, რომელმაც ახალი პოლიტიკური კულტურა შექმნა ქართულ რეალობაში და პოლიტიკის ხელოვნება ცივილურ, ჰუმანურ საწყისებს მიუახლოვა.

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ!

„საერთო გაზეთი“

ირაკლი კობახიძე :

ჩვენი ევროინტეგრაციის პროცესი უფრო დაჩქარდება

ყველა თემაზე გვქონდა საუბარი ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, მათ შორის, 9 პრიორიტეტი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. გაგრძელდება აქტიურად მუშაობა, რათა შესრულდეს ყველა პრიორიტეტი, რომ საბოლოო ჯამში, გაიხსნას მოლაპარაკებები.

ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას. ბრიუსელში გამართული შეხვედრები გვაძლევს ოპტიმიზმის ძალიან კარგ საფუძველს, იმასთან დაკავშირებით, რომ კიდევ უფრო დაჩქარდება ჩვენი ევროინტეგრაციის პროცესი.

საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც გვქონდა საუბარი. ახალი კანონმდებლობა, ელექტრონული ხმის მიცემის წესი, ფართო დაკვირვება უზრუნველყოფს, რომ არჩევნები ჩატარდება თავისუფალ და სამართლიან გარემოში.

კონფლიქტის მოგვარება უნდა მოხდეს მშვიდობიანობის დაცვის პრინციპით - მშვიდობა ჩვენ მოგვცემს საშუალებას, რომ მეტი სტაბილურობა, წინსვლა ვიქონიოთ ქვეყანაში და რეგიონში

დღევანდელი ასოცირების საბჭოს სხდომა მნიშვნელოვანი საეტაპო მოვლენაა ჩვენს ურთიერთობებში, რომელიც ხაზს უსვამს ჩვენს ისტორიულ მიღწევას - საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას

ჯოზეფ ბორელი: თქვენი მოქალაქეები ძალიან მტკიცედ ფიქრობენ, რომ ევროკავშირი არის მათი მომავალი

ბატონო პრემიერო, როდესაც საქართველოში ვიყავი ჩამოსული, ძალიან გამაოცა ევროპული დროშების რაოდენობამ თბილისის ქუჩებში, სავსე იყო. გასაოცარი მარტო ჩემთვის კი არ იყო, ყველასთვის გასაოცარი იყო, თან არც ჩემი ვიზიტისთვის გაკეთდა, ზოგადად ჩემამდე, ჩემს ვიზიტამდეც და ჩემი ვიზიტის შემდეგაც ასე იყო. ეს ცხადჰყოფს იმას, რომ თქვენი მოქალაქეები ძალიან მტკიცეს ფიქრობენ, რომ ევროკავშირი არის მათი მომავალი და ჩვენც გვაკისრია პასუხისმგებლობა, რომ თქვენთან ერთად ეს ისტორიული შესაძლებლობა გამოვიყენოთ და ჩვენი ძალისხმევა გავზარდოთ იმისათვის, რომ გავზარდოთ ქვეყნის მედეგობა და თქვენი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა მოხდეს!

* * *

საქართველო არის ევროპული ოჯახის ნაწილი და შეხვედრაზე ამაზე ბევრი ვისაუბრეთ. ჩვენ გადავდივართ უფრო დიდი სიჩქარით ახალი სიმაღლეებისკენ.

დღეს ერთად გავიარეთ 9 ნაბიჯი იმისათვის, რომ ჩვენც მოვემზადოთ შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. ეს არის სწორედ ჩვენი შეხვედრის მიზანი, რომ საქართველო შევიყვანოთ ევროკავშირში – განაცხადა ოლივერ ვარჰეიმ.

„ლიბერალური დემოკრატია“ - ნორმა თუ არჩევანი?

რაღაც უსაშველო სჭირს საქართველოს, თუმცა გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მას შემდეგ, რაც უარი თქვა ძირწმინდა ქართულ ფენომენზე, ეროვნულ ხელისუფლებაზე, ის მუდმივად რომელიმე ბანდის ხელშია. ამ კუთხით უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ბანდა ადგილობრივი „წარმოების“ იქნება თუ „იმპორტული“, „წითელი“ მიმართულების თუ „შავი“, კრიმინალურ-პოლიციური თუ დიქტატურულ-აგენტურული და ა. შ.

ეს ერთგვარი დიაგნოზი სამნაწილიანია, მაგრამ ოროსანი ბავშვიც კი უცბად ჩამოარაკრაკებს,

ერთი რიგითი მოქალაქე ვარ და მტკივა, რომ ქვეყნის მავნებლებზე საუბარს იმდენი სქელტანიანი ტომი არ ეკმარება, რამდენი საათიც არის გასული ჩემი ქვეყნის მავნებელთა გაერთიანებების შექმნიდან დღემდე..... არ შეიძლება, რომ ისეთი კანონი მივიღოთ, რომელიც რამენაირად გაგვარიდებს ამ სუბიექტებს?

არანაირი მიკერძოებულობა არ მახასიათებს, მხოლოდ სიმართლის მთქმელი ვარ და მიკვირს და აღშფოთებული ვარ, მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრედიტაციისთვის, ეროვნული ღირებულებების გასაუფასურებლად, ქართველი სტუდენტების, მოსწავლეების, ახალგაზრდების გამოსათაყვანებლად და გადასაგვარებლად შემოგდებული იდეოლოგია, „ლიბერალურ დემოკრატიას“ რომ ეძახიან, ჩვენ ნორმად რატომ ჩავიწერეთ?

ნამდვილად ვეღარ ვიგებ, ჩვენ სახელმწიფო გვინდა, თუ ტერიტორია, რომელსაც მხოლოდ სახელად ერქმევა „სახელმწიფო“?

„არა“-ს თქმა საუკეთესო სვლაა! არ ვფიქრობ, რომ მოჩვენები მაქვს!... აბა, მისმინეთ!

საქართველოში ისეთი გადაზელილი ინტელექტუალური ბანდის დროც იდგა, რომელიც „ცისფერ“ ფონზე ყველანაირი ბანდის ელემენტს შეიცავდა. ეს იყო კომუნისტური წარსულის წიაღში შობილი უსახური და ხალხისთვის ყველა დროსა და მმართველობაში მიუღებელი, შესაბამისად, 3%-იანი რეიტინგის მქონე „რესპუბლიკური პარტია“. ასე როგორ და რა გზით, რა დამსახურებისთვის და ვის მიერ აღზევდა 2012 წლის ხალხის მონაპოვარზე აღნიშნული პარტია, ყველამ იცის. საკითხავი ის არის, რანაირად უნდა მოშორდნენ ეს ინტელექტუალური ბანდები საქართველოს, ამდენი წელი უკუღმართ წურბელებად რომ ასხედან კისერზე.

ვიღაცას ჰგონია, რომ „რესპუბლიკელები მოშორდნენ“. არა, ბატონებო, „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად, არსად წასულან, აქვე არიან, ოღონდ, განშტოებულად, ზოგმა ახალი სახელი დაირქვა და ზოგი ვიღაცას მიეტმასნა.

აღნიშნული პარტიის მობერებულ-მობოშებული და წარმავალი ფესვების სრული შემადგენლობის განხილვა ვის უნდა, როცა საქმე „ყლორტებშია“? „ყლორტებს“ კი ისხამს და ისხამს ძველი, საბჭოთა და თანამედროვე ამერიკული წარმოების შხამქიმიკატებით ნიადაგგანოყიერებული საია და „ნაცმო“.

მიჩუმათდნენ და სხვა სახელები დაირქვეს, თორემ იგივენი არიან!

აბა, გადახედეთ!

არ მეჩვენება, თუ ფიქრობთ, რომ ვცრუობ, დამტუქსეთ!

დავით უსუფაშვილი ისევ ის დავით უსუფაშვილია და ისევ იმ თინას ქმარია, ტაივანიდან რომ ფინანსდება და ამართლებს, აბა, რა ტაივანი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა როგორც აფხაზეთიო;

ის დავით უსუფაშვილია, რომელიც საია-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი (1994 წ.) და ასევე პირველი თავმჯდომარე იყო 1997 წლამდე; იურისტი, საჯარო პოლიტიკის მაგისტრი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე 2005 წლიდან.

ეს პარტია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა უშიშროებამ ლოიალურად „დაუშვა“, ჯერ „ქართული ოცნების“ წარმმართველ ძალად მოგვევლინა, ახლა კი სრულიად საქართველოს უპირებენ თავზე გადაჯდომას (საინტერესოა, რომ პარტიის დამფუძნებლები ლევან რამიშვილთან და გიგა ბოკერიასთან ერთად ნჯო „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამფუძნებლებიც არიან).

„გალელოებული“ ბატონი უსუფაშვილი რეალურად სწორედ იმ ინტელექტუალურ ბანდას თავმჯდომარეობს დღემდე, რომელიც დროებით მიიმალა, ჯერ ახლებურად იწრთობა, მერე კი აზრიანად იმავნებლებს ხილულად. მის ბატკან სახეს ამოფარებულები ვინც არიან, კი ვიცით: ე. წ. მისი მეუღლე, საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი (რა ინფორმაციები გადაატაივანა, ეშმაკმა რომ უწყის) თინა ხიდაშელი, „მონანიე“ ძმები ბერძენიშვილები, საბჭოთა „სუკის“ დამღადასმულებულები და ყლორტები...

აღნიშნული პარტიის მობერებულ-მობოშებული და წარმავალი ფესვების სრული შემადგენლობის განხილვა ვის რაში უნდა, როცა საქმე „ყლორტებშია“? „ყლორტებს“ კი, ისხამს და ისხამს ძველი, საბჭოთა და თანამედროვე ამერიკული წარმოების შხამ-ქიმიკატებით ნიადაგგანოყიერებული საია:

ხან თამარ ჩუგოშვილი მოისხა, ხან თამარ კორძაია და ხან თამარ გურჩიანი — მოწივკივილე ბავშვები დროებით გვერდზე იყოს.

ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ აბა, ჩაეძიეთ, საია-ს თავის მხრივ რა რაოდენობის „შვილები“ ჰყავს არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, ამდენად, სრულებით არ აქვს მნიშვნელობა, რა სახელწოდებით არის წარმოდგენილი რომელიმე პერსონა, ისინი მაინც ერთნი არიან! ეს ის ნაკრებია, ადამიანის უფლებათა დაცვა რომ ებარათ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ სახელით და საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას არ ცნობდნენ — ამ ყველაფრის შემდეგ რაღაზე უნდა ილაპარაკო... მთელი ის არასამთავრობო სპექტრი, რომლებიც სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის დროს ვერანაირ დარღვევას ვერ ხედავდა ადამიანის უფლებისა და თავისუფლების კუთხით... ეს კი არა, მკვლელობებს და წამებებს ვერ ხედავდნენ... ვერ ხედავდნენ კი არა, როცა ფილმებად უნდა ენახათ, მაშინაც არ შეხედეს, ბოლომდე მორალურად „სუფთები“ დარჩნენ — „არაფერი უნახავთ, არაფერი გაუგიათ“...

თუ არ ვისწავლით, რომ ყველაფერს შესაბამისი სახელი დავარქვათ, ვერასრდოს გავხდებით ღირსეული სახელმწიფო, ქვეყანა, საზოგადოება!

ამ შემთხვევაში რაღაც „უცნაურობას“ ვაწყდებით, აშშ-ის მოქალაქე ვიღაც ქართველები გვაფრთხილებენ, „ამჟამად ნატო-ს წევრობა მშვიდობას არ მოგვიტანს, ამას მე გეუბნებით, ნატო-ს წევრი ქვეყნის მოქალაქეო“, მისი მეუღლის „შაიკა“ კი კარჩარაზულ ნატო-ს უკვე გაწოლილ მდგომარეობაში ევედრება რაღაცას...

ბატონი ახალი თავდაცვის მინისტრი აქეთ მომხედავდეს, ნეტავ!

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში უკვე (ინფორმაცია ოკუპანტი რუსეთისგან არ მაქვს აღებული) 66 000 გეი და ლესბოსელი (თუ მეტი არა), მსახურობს; ლეგენდარული მი-5, ბრიტანული დაზვერვა, დღეს 100 პედერასტით არის წარმოდგენილი და სექსუალურ უმცირესობათა დამსაქმებელთა ასეულში 62-ე ადგილზეა, რითიც ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოც კი უკან ჩამოიტოვა; ავსტრალიის მთავარსარდალი ამაყობს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ჯარისკაცებით, თუმცა მათი სიმცირით უკმაყოფილოა; გენერალ დევიდ მორისონის მოწოდებაა, რაც შეიძლება მეტი ქალი, სექსუალური უმცირესობისა და მცირე ხალხების წარმომადგენლები გაიწვიონ ჯარში და ა. შ. რა ნიშნით ჩაიბარეს „საიელმა“ ქალბატონებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სექსუალური უმცირესობები უნდა დაასაქმონ და ქართული ჯარი პედერასტების თავშესაფრად აქციონ? მხოლოდ შეიარაღება ანდეს „რესპუბლიკელებს“, ანუ იგივე „საიელებს“, ვინიცობაა ანტიამერიკული გამოსვლები საქართველოშიც დაიწყოს, შიშველი ხელით არ დახვდეთო, თუ ორივე ერთად?

ევროპულმა სასამართლომ საქართველო 33 500 ევროთი დააჯარიმა იმის გამო, რომ სექსუალურ უმცირესობებს სახელმწიფო უსაფრთხოების გარანტად არ დაუდგა ქალაქის მთავარ გამზირზე სვლის შემთხვევაში, ბრიტანეთმა კი 2000 წელს მიიღო ევროპული სასამართლოსგან სესხი — ბრიტანულ ჯარში ჰომოსექსუალების სამსახურზე აკრძალვა მოიხსნა, რადგან ეს აკრძალვა მოქალაქის პირად ცხოვრებაში უხეშად ჩარევად შეფასდა (რა შეფასებებს იძლევიან მაღალი რანგის სამხედრო პირები, ამის ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ამერიკელი გენერლის ხუმრობით ნათქვამი გავიხსენოთ, „ჰომოსექსუალთან ერთად შეტევაზე ვერ წავალ, წინ მტერს ვუყურო თუ უკან — თანამებრძოლსო...“)

2012 წლის 27 ივნისს არატრადიციული ორიენტაციის სამხედრო მოსამსახურეთა პატივსაცემად პენტაგონის ისტორიაში პირველად, ღონისძიება გაიმართა. დამსწრეებს პრეზიდენტ ობამასა და თავდაცვის მინისტრ ლეონ პანეტას ვიდეომიმართვები გააცნეს, თუმცა ყველამ შენიშნა, რომ ღონისძიებას პენტაგონის მაღალჩინოსნები არ ესწრებოდნენ. „ეს მდუმარე პროტესტს ჰგავს“, — გაენდო ჟურნალისტებს ერთ-ერთი დამსწრე...

ირინა სარიშვილმა, სანამ „ფერს იცვლიდა“, პირდაპირი ეთერით განაცხადა, ვისაც გგონიათ, რომ უსუფაშვილ-ხიდაშელი ძალიან პროდასავლურები არიან, ცოტა ხანში დაინახავთ, ვინც არიანო...

სანამ ამას დავინახავთ, ბოლო-ბოლო, იმას მაინც ვხედავთ, რომ მთელი მსოფლიო ამ პაწაწინა საქართველოს დაპირისპირებია; იმას მაინც ვხედავთ, რომ აქამდე ძებნილ-მგვემარე საკაშვილი ახლაც ყველგან და ყველაფერშია გამოჩხერილი და ამ მაოხრებელ გზირს ვერ გამოვეხსენით...

ეს ყველაფერი რაღაც უცნაური ევროატლანტიკური არჩევანია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართველი ხალხის არჩევანი არ არის ის ხალხი, ვინც ამ ყველაფერშია გადაზელილი!

სახელმწიფო ვართ, თუ ვინ ჯანდაბა ვართ!

ტაივანის აგენტი ბარემ მეც ვიქნები!

შენ ვიღას აგენტი ხარ?

კარგი, გაგახსენებთ, იმედია, სხვასაც ახსოვს...

P.S როდესაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დამირეკა, „ქალბატონო ნატო, მოგესალმებითო“, ვიფიქრე, ნომერი შეეშალა-თქო და თინა ვარ-თქო, ვუთხარი. ვიცი, ვიცი ქალბატონო ნატოო“, — თქვა ქალბატონმა თინამ „პოლიტარტში“ სტუმრობისას.

საინტერესოა, მიხვდნენ თუ არა „გადაზელილი ინტელექტუალები“, რა უთხრა ამ ხუმრობა-მისალმებით ივანიშვილმა თინას, ანუ, ზოგადად, თინას „არმიას“?



მაია ჭელიძე

ამ მოზაიკით, ეგრეთ წოდებული ოპოზიციისგან ღირებული ძალა ვერ შეიქმნება

გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— **ბატონო პეტრე, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე?**

— პირდაპირ გეტყვით, ამ ფლანგზე მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. საქართველოში ოპოზიცია არ არის და არც ამის პერსპექტივა მოჩანს. რეალური ოპოზიცია არის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესებს წარმოადგენენ, გააჩნიათ სათანადო კომპეტენცია, ცოდნა, უნარები, არიან ეროვნულები და სამშობლოს ერთგულნი, მაგრამ რიგ საკითხებზე მმართველი ძალისგან განსხვავებული აზრი აქვთ. აი, ეს არის დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია. ქვეყნის ინტერესების ერთგული, თან კომპეტენტური ოპოზიციის გარეშე, დემოკრატია ვერ ხარობს. შოლტისა და ყარაული ძაღლის ფუნქციის შემსრულებელი ოპოზიცია ჩვენთან არ არსებობს. ესენი ბელადის გარშემო შეკრებილი პატარა ჯგუფები არიან. აბა, გადავხედოთ, რა სპექტრია ოპოზიციაში. ავიღოთ ბოკერიას დაჯგუფება, სადაც 2016 წელს 28-იდან 21 ნაცი მასთან გადავიდა. 2020 წლის არჩევნებში ყველანი ერთად ჩაფლავდნენ და პარლამენტში მხოლოდ ხუთი ადგილი ერგოთ. ახლა ბანკირების დაჯგუფებაში ვნახოთ, რა ხდება, რომელიც „ლელოს" სახელწოდებითაა ცნობილი. მათ რეალურად ხელისუფლებაში მოსვლა არც უნდათ. ერთადერთი, რაზეც ზრუნავენ, დევნილი პოლიტიკოსების იმიჯი უნდათ, ჰქონდეთ. მათი ლიდერები მასშტაბურ თაღლითობაში არიან მხილებულნი, მოსახლეობაში კი მევახშეების სახელი აქვთ. ისინი მულტიმილიონერები არიან. მათი ინტერესია, „პოლიტიკური" საქმიანობის იმიტაციაზე, რაც შეიძლება ნაკლები ფული დახარჯონ და თან პოლიტიკოსის იმიჯი ჰქონდეთ.

ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ხავსს ეჭიდება: ახლა 1%-იანი ბარიერი აღარ არის, პარლამენტში მოსახვედრად კვლავ 5%-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ. ასევე, საარჩევნო კანონი პარტიების ბლოკებად გაერთიანებას კრძალავს და რა დარჩათ? — იწყება ლოზუნგებისა და გაერთიანებების გზების ძებნა. ამ მოზაიკით ვერავითარი ღირებული ძალა ვერ შეიქმნება. ერთ მაგალითს გავიხსენებ: ერთ-ერთ არჩევნებში კახა კუკავამ და „ახალმა მემარჯვენეებმა" კენჭი ერთად იყარეს, რაც ცოცხალ ანეკდოტად იქცა. კუკავას საარჩევნო პროგრამაში ეწერა: არავითარი ნატო. მემარჯვენეების პროგრამის პირველი პუნქტი კი სწორედ ნატო-ში შესვლას ითვალისწინებდა. ამიტომაც, არჩევნებში ერთად ჩაფლავდნენ. მიზერული რეიტინგების მქონე პარტიების გაერთიანებები ეფექტური ვერ იქნება. ბევრი მათგანის სახელწოდებაც აღარ ვიცი, ამას ყველა ივიწყებს. ამ პარტიებს სამშობლოზე ზრუნვა კი არა, პირადი დაინტერესება ამოძრავებთ. ბოკერია კი ჩაფლავდა არჩევნებში, მაგრამ მისი პარტია ბიუჯეტიდან ფინანსდება, რადგან ხუთი კაცის შეყვანა მაინც მოახერხა პარლამენტში. დაფინანსება — ეს მათი ბიზნესია. დღევანდელ სიტუაციასაც, რამდენად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, სწორედ ფულით დაინტერესება განაპირობებს. უცხოელები კი გვაძლებენ, ასეთ ოპოზიციასთან კონსტრუქციულად ითანამშრომლეთო. ასე რომ, მათ კი ჰქვიათ ოპოზიცია, მაგრამ დე-ფაქტო ეს გახლავთ ანტიეროვნული, დესტრუქციული ძალა.

— **ნაცების კონსტრუქციულ რელსებზე გადასვლა რით აიხსნება, ეს წინასაარჩევნო პიარსტრატეგიაა?**

— რა თქმა უნდა. აქ ორი ფაქტორი მოქმედებს: პირველი დასავლეთთან მათი აქტიურად მუშაობა. მათი ლობისტები საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომს აწარმოებენ, სააკაშვილს წამებულად აცხადებენ, რომელსაც თურმე აქ აშიმშილებენ კიდეც და ნავალნისავით მოკვლას უპირებენ. დიახ, ურცხვად ამბობენ, რა დღეშიც პუტინს ნავალნი ჰყავდა, ისე ჰყავს საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილიო. მათი შედარება როგორ შეიძლება. ნავალნიმ ციხეში გატარებული 1200 დღიდან, მესამედი კარცერში გაატარა, სადაც ტემპერატურა 4 გრადუსს არ აღემატება, არც საბანი ჰქონდა, ქვაზე იწვა. ამ დროს უცხოელები ბედავენ და ამბობენ, სააკაშვილს წამლავენო.

მაშას გუნდი ყველაფერს აკეთებს, რათა პოლიტიკაში იტივტივოს. ამიტომაც გაზდნენ „კონსტრუქციულები", თუმცა, არ მგონია, ამან მათ პოპულარობა მოუტანოს. ერთი რამ ცხადია: თუ გაერთიანებული პარტიებიდან, ვთქვათ, ზოგს 1%-იანი პოპულარობა აქვს, ზოგს — 6,5% და ზოგსაც 2%, ეს პროცენტები არ შეიკრიბება, პირიქით, შეიძლება განულდეს. ერთი რომელიმე გუნდის მხარდამჭერები სხვასთან შეკრულ პარტიას ხმას აღარ მისცემენ.

მოდუნება არ შეიძლება. ამიტომ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას მივესალმები. ამ მოვლენას მე ზაფხულისთვის ვვარაუდობდი. დააკვირდით, რა თქვა ღარიბაშვილმა: პოლიტსაბჭო მეუბნებოდა, იქნებ, ზაფხულში გადადგე პრემიერობიდან და პარტიის თავმჯდომარეობას ჩაუდგე სათავეშიო. ანტიეროვნულ, დესტრუქციულ ძალებთან მეტი ყურადღებაა საჭირო. სააკაშვილს, კეზერაშვილს და მათ თანამზრახველებს ხელთ დიდძალი ფინანსები შერჩათ. ეს დიდი ძალაა. მათ გააჩნიათ ტელევიზიები, რომლებსაც პროპაგანდის რუპორად იყენებენ. ადრე ერთი ჟურნალისტი მოდიოდა ჩემთან და ღიად ამბობდა, რომ ემხრობოდა ოპოზიციას, რადგან ამ პროპაგანდაში დღეში ათას ლარს აძლევდნენ, მის ოპერატორ ქმარს კი ხელფასი 15 ათასი ლარი ჰქონდა. ანუ, სახეზეა ფინანსური დაინტერესება. ეს ჯგუფი მიშას ერთგული რჩება. როცა საქმე დიდ ფულთან და პროპაგანდისტულ ტელევიზიებთან გვაქვს, რომელთაც საერთაშორისო დანაშაულში მხილებული კეზერაშვილი აფინანსებს, ეს ანგარიშგასაწევი ძალაა, რომელთაც საქართველოსთვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ. ამიტომ მმართველ ძალას მეტი სიფხიზლე, სიმტკიცე, კორუფციასთან აქტიური ბრძოლა მართებს. გავიხსენოთ, რამდენიმე თვის წინ კაზინოებთან დაკავშირებით პრემიერის გადაწყვეტილება რეგულაციების შემოღების თემაზე. ოპოზიციას ამაზე ყოველდღიურად უნდა ეთქვა, მიიღეთ სათანადო ზომები, მაგრამ პირიქით, რეგულაციების მიღება რომ დაიწყო, პირველმა რომან გოციროძემ იყვირა, საქართველო ინვესტიციებს კარგავსო. ის კი არ თქვა, რომ რეგულაციების შემოღება მის ჯიბის დაეტყობოდა. მერე გვარამიამ ატეხა კივილი, ჩემს ტელევიზიას გააკოტრებენო. არც ჭუტა წერეთლის ვაჟი ჩამორჩა და აყვირდა: არ შეიძლება ამის გაკეთება, სპორტი დაიჩაგრებაო. ეს კომედიაა.

— **ოპოზიცია არჩევნებისთვის ემზადება, თუ არჩევნების მეორე დღისთვის?**

— წარმოუდგენელია, ოპოზიციამ არჩევნებზე ის შედეგი დადოს, ახლა რომ აცხადებს. ამიტომ ველი, რომ მეორე დღეს არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებენ. ალბათ, აქციებსაც დაიწყებენ. ბოლოს მათ მიერ ჩატარებულ მიტინგზე მხოლოდ 20-კაციან ჯგუფებს ვხედავდით, რომლებიც პარლამენტის კიბეებსაც კი ვერ ავსებდნენ. სააკაშვილი უკრაინიდან გამუდმებით ითხოვდა, შეკრიბეთ 300 ათასი კაცი, დავასრულოთ ეს ხელისუფლება და მეც ჩამოვალო. მას უხსნიდნენ, რომ საქმე ასე მარტივად არ იყო. „გავრილოვის ღამის" და 7-8 მარტის აქციების მსგავს პროვოკაციებს ახლაც უნდა ველოდოთ. ოპოზიცია ყველაფერზე წავა.

— **სააკაშვილი ამჯერადაც ემზადება არჩევნებში საბრძოლველად. მის გასათავისუფლებლად ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყეს...**

— ზურაბიშვილმა დაამტკიცა, რომ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. თუ პირადად მისთვის სააკაშვილის შეწყალება მომგებიანი იქნება, ანუ, დასავლეთი ამ ნაბიჯს დაუფასებს, მაშინ ასეც მოიქცევა. როცა საქართველოს მიმართ დასავლეთიდან ცილისწამების ნიაღვარი უხვად მოედინებოდა, ზურაბიშვილი ვალდებული იყო ეთქვა, ეს ყველაფერი ტყუილიო. სხვათა შორის, გიული არ მალავდა ამ ინფორმაციას. როცა რუსმა ჟურნალისტმა ჰკითხა, როდის ნახეთ ბოლოს შვილიო, მან უპასუხა: ამ დილით. მე დღეში ორჯერ ვნახულობ მას და საჭმელსაც მიმაქვსო. ამ პასუხმა რუსი ჟურნალისტი მოცელა. ეს ზურაბიშვილმაც ხომ იცის. ამის უკან რაც იმალება, ყველამ ვიცით. ამიტომ ის ყველაფერზე წავა, მათ შორის, სააკაშვილის შეწყალებაზეც. თუმცა, მიშას იქვე დაადებენ ბორკილებს და უკან შეაბრუნებენ. თავად მიშამ რა თქვა, ივანიშვილი და ზურაბიშვილი ორივე საფრანგეთის მოქალაქეა და ისე მექცევიან როგორც პაკისტანელებიო. პაკისტანი ცნობილია სასტიკი გადაწყვეტილებებით.

— **ნავალნის მსგავსად, სააკაშვილსაც პუტინის პატიმრად იხსენიებენ...**

— სააკაშვილი არის პუტინის ერთგული გოშია, კაგებეს ეფეიტორი, რომელსაც კაგებეს გენერალი თემურ ალასანია კურირებს. ინტერვიუებში ალასანია ყოველთვის ნიშნისმოგებით ამბობს, მიშას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჩემს გარეშე არასდროს მიუღიაო.

— **ოპოზიციონერები ზღაპრულ დაპირებებს არიგებენ.**

— ასეთ რეალობასმოწყვეტილ, ფანტასტიკურ დაპირებებს ის ადამიანები გასცემენ, რომელთაც მშვენივრად უწყიან, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, ამიტომ, რა ენაღვლებათ, არიგებენ დაპირებებს.

— **ბატონო პეტრე, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე როგორ შეაფასებთ ზელენსკის გამოსვლას?**

— დიახ, ასეა. უკრაინა დასავლეთიდან ინტენსიური, საკმარისი დახმარების მიღების გარეშე რუსეთის აგრესიას ვერ გაუმკლავდება. ამერიკის კონგრესი გადაწყვეტილების მიღებას აგვიანებს. მეტიც, ამ რთულ მომენტში უეცრად შესვენება გამოაცხადა. დავსვათ შეკითხვა: რამდენი ადამიანის მობილიზება შეძლო თავად ზელენსკიმ?! ცნობილია, რომ ხუთ მილიონზე მეტმა უკრაინელმა ქვეყანა დატოვა, მათ შორის, მილიონამდე გასაწვევი ასაკის ახალგაზრდა მამაკაცმა. უკრაინაშიც საკმარისად დარჩნენ, თუმცა მათი მობილიზება ვერ ხერხდება. 45 წლის მამაკაცების დიდი ნაწილი ფიზიკურად ვერ შეძლებს ბრძოლებში ჩართვას. აქვე უნდა აღინიშნოს მასობრივი კორუფცია, რაც უკრაინაშია გამეფებული.

ზელენსკიმ და მისმა გუნდმა სახელმწიფო ინტერესებზე და სახელმწიფოთაშორის (ვგულისხმობ, საქართველოს) ურთიერთობაზე მაღლა სააკაშვილთან, მის გარემოცვასთან პირადი ურთიერთობა დააყენა, რომლებიც მაღალ თანამდებობებზე დანიშნა. უკრაინის ხელისუფლება ტოტალურად კორუმპირებულია. უკრაინის ამოცანა შემდეგია: მთლიანად განდევნოს რუსი აგრესორები საკუთარი ტერიტორიიდან და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა იმ საზღვრებში აღადგინოს, რაც მთელ მსოფლიოში ცნობილია. ანუ დაიბრუნოს ყირიმი, დონბასი და ა. შ. ლაპარაკია იმ საზღვრების აღდგენაზე, რაც ყირიმის ანექსიამდე იყო. როცა უკრაინა დაამტკიცებს, რომ კორუფციის გზას აღარ ადგას და საზღვრებიც აღდგენილი ექნება, ევროკავშირში მხოლოდ ამის მერე შევა.



თამარ შველიძე

დასავლეთი ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების გამო ებრძვის

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, ნავალნის გარდაცვალებამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.

— ნავალნი კრეატიული პიროვნება გახლდათ. იგი რეალურად დასავლეთის მიერ „შექმნილი“ პროექტი — პუტინის ალტერნატივა უნდა ყოფილიყო, რამაც ვერ იმუშავა. ნავალნიმ ბევრი იბრძოლა. რუსეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ მასალების მოპოვება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დონეზე ხდებოდა. ეს რუსეთში პუტინის ჩანაცვლების მიზნით დაგეგმილი, დაფინანსებული ღონისძიება იყო. რუსეთი რეჟიმული, იმპერიული ზრახვების ქვეყანაა და ცხადია, დასავლეთის მცდელობას ცვლილება მომხდარიყო, ასე ადვილად არ დაუშვებდა. ნავალნის, მოწამვლის შემდეგ, საშუალება მიეცა უცხოეთში ემკურნალა, რაც პუტინის გარეშე ვერ გადაწყდებოდა. ნორმალური, ჭკვიანი ადამიანი უკან აღარ უნდა დაბრუნებულიყო. ეს მას თავად არ გადაუწყვეტია. ის უკან დააბრუნეს. ფაქტობრივად, უკან დაბრუნდა, რათა დაღუპულიყო. ეს უცნაურია. ნავალნიზე სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული და დაბრუნებისას დააკავეს. მის გარდაცვალებას რაც შეეხება, თუკი ვინმეს ახლა ნავალნის სიკვდილი არ აწყობდა, ეს პუტინია. მისი გარდაცვალების მიზეზიც, ალბათ, მოწამვლის ნარჩენები გახდა. ახლა დაიწყება საუბრები, პუტინმა მოკლაო. მისი გარდაცვალება დაპირისპირებისთვის იქნება გამოყენებული.

— მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციას ზურაბიშვილი მთავრობის ნებართვის გარეშე დაესწრო.

— მიუნხენის კონფერენციაზე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი და განხილვა ხდება. დასავლეთის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე ევროპა და აშშ მსჯელობენ, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს უახლოეს პერიოდში მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები. საქართველოც, რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე, ამ ყველაფრის მონაწილეა. ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობა გაიზარდა, რასაც, ბუნებრივია მის მიმართ ყურადღების გაზრდაც მოჰყვა. კანდიდატის სტატუსიც ამიტომ მოგვცეს, თუმც, არ უნდოდათ. ყველაფერს ინტერესები წყვეტს და არა ის, რამდენად კარგები ვართ, ან როგორ შეასრულა მთავრობამ 12-პუნქტიანი დავალება. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა გადამწყვეტია, ის აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ხიდია. როცა რუსეთის სატრანზიტო მიმართულება ჩაიკეტა, ასევე, იკეტება სამხრეთის გზები, ტვირთების გატარება აფრიკის შემოვლით დაიწყეს, რაც დიდ დროს და დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამ დროს „შუა დერეფნის“ პროექტი უალტერნატივო ხდება. ამიტომ საქართველოს მიმართ ყურადღება გაზრდილია როგორც აშშ-ის, ისე ევროპის, მთლიანად დასავლეთის მხრიდან. თვალნათელია ჩინეთის გააქტიურებაც, რომელმაც ჩვენთან ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების რანგში აიყვანა. მეორე მხრივ, ჩნდება კითხვა, რატომ არ ესწრებოდა მიუნხენის კონფერენციას ჩვენგან მაღალი რანგის დელეგაცია — მიზეზი შემდეგია: გლობალური შეჯახებების ფონზე, როცა მსოფლიო ახალი წესრიგის ჩამოყალიბება ხდება, დასავლეთს ზეგავლენის ბერკეტების გაძლიერება სჭირდება. მათ შეუძლიათ რუსეთთან მიმართებით აგრესია განახორციელონ და ამის მიზეზიც მოიფიქრონ. რაც შეეხება ჩინეთს, ის ჩვენთან მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობაშია. დასავლეთი კი ცდილობს, ჩვენი საზოგადოება კონტროლირებადი გახადოს, დააფინანსოს, ჩვენს ფსიქიკაში შემოვიდეს. აი, რა მექანიზმებით მოქმედებს დასავლეთი — საქართველოს მიმართ გარკვეულ პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებს.

მთავრობამ პრეზიდენტს ნებართვა არ მისცა, წასულიყო მიუნხენში და საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებები გაეკეთებინა. თუმცა კონფერენციის ორგანიზატორებმა იგი თავად მიიწვიეს. მიზეზი ის კი არ არის, თითქოს, მოსწონთ ან უყვართ. არა, მათ სჭირდებათ, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი ტალღა ააგორონ, რაც ჩვენს ქვეყანას თავისუფალ ქმედებებს შეუზღუდავს. ამიტომ დასავლეთს აწყობს ზურაბიშვილის მიერ მიუნხენში გაკეთებული კრიტიკული განცხადებები. ამით ქმნიან ფონს, თითქოს საქართველო ჩრდილოეთით, ასევე, ჩინეთისკენ მიდის და არა ევროპისკენ. მთავრობას შეეძლო, წასულიყო და კონფერენციაზე თავის პოზიცია აქტიურად დაეფიქსირებინა. თუმცა, მან მეორე გზა აირჩია, კონფერენციას საგარეო საქმეთა მინისტრი დარჩიაშვილი დაესწრო, რომელსაც პანელურ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა. ზურაბიშვილმა კი შეასრულა ის როლი, რაც დასავლეთს საქართველოს წინააღმდეგ სჭირდებოდა. „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, ამ თამაშში არ ჩართულიყო. ამიტომ ნომინალურად დარჩიაშვილი გაგზავნეს. ამით აჩვენეს, რომ დაპირისპირებას, პოლარიზაციას ემიჯნებიან.

— წელს მიუნხენის კონფერენციის წლიურ ანგარიშში ჩაიწერა, რომ ივანიშვილი პრორუსი ოლიგარქია, რომელიც საქართველოში დემოკრატიის განვითარებას უშლის ხელს?

— ევროპას საქართველო სჭირდება. კანდიდატის სტატუსიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოგვანიჭეს, თორემ ათასი პროცენტითაც რომ შეგვესრულებინა პუნქტები, მაინც არ მოგვცემდნენ. ყველა საკუთარი ინტერესების ჩარჩოებში მოქმედებს, მათ შორის, დასავლეთიც. რაც შეეხება იმას, თუ რატომ ესხმიან თავს ივანიშვილს, პირველ რიგში, გეტყვით, რომ მან პოლიტიკაში დაბრუნებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ივანიშვილი მეცენატი, ქველმოქმედი, ქვეყნისთვის ბევრი სიკეთის გამკეთებელი პიროვნებაა. თუმცა ვიღაცები ოლიგარქად მოიხსენიებენ. ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ ივანიშვილის ფაქტორი დღეს საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნების განმსაზღვრელია. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებს რომ ჩამოვაშოროთ?! ჯერ ერთი, ხელისუფლება ძალიან ტურბულენტურ მდგომარეობაშია და საკითხავია რამდენად მოახერხებენ მეხუთე კოლონასთან გამკლავებას. დასავლეთი ჩვენს საზოგადოებრივ სექტორს აკონტროლებს, აფინანსებს, ალაპარაკებს იმას, რაც მას სურს, შემდეგ ამას ხალხის სახელით საუბარს არქმევს და აქედან გამომდინარე მოქმედებს. ანუ, დასავლეთი შიგნიდან გვარღვევს. ეს ჩვეულებრივი ტექნოლოგიაა. ეს კარგია თუ ცუდი, ბოროტები არიან თუ ჩვენი თავგადაკლული მეგობრები, მაინც საკუთარი ინტერესებით მოქმედებენ. **თუმცა მათ ვერ მოახერხეს საზოგადოების ისეთი ფორმით შემოკრება, რომ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გადაძალვა შეძლებოდათ. მან არავის მისცა საშუალება, საქართველო ომში ჩაერთოთ. ყველას გვახსოვს, როგორ ცდილობდნენ ელჩები, ამ კუთხით მასზე ზეგავლენის მოხდენას.** ივანიშვილი ქვეყნის ომში ჩართვაზე რომ ვერ დაითანხმეს, ფინანსები დაუყადღეს. მან სასამართლო მოიგო, მაგრამ კუთვნილ თანხას მაინც არ აძლევენ. ამიტომ ივანიშვილი პოლიტიკაში ღიად გამოჩნდა. ნებისმიერი სახელმწიფოებრივი, ეროვნული პოზიციის დაჭერას დასავლეთი ღიად ეწინააღმდეგება და მეხუთე კოლონას უხვად აფინანსებს, რათა მან ხელისუფლების მიერ გადადგმული ეროვნული ნაბიჯები, რუსულად მონათლოს.

ახლა წინასაარჩევნო პერიოდია და ის ძალები, რომელთაც საქართველოს ომში ჩართვა სურთ, შეეცდებიან, მიუნხენის კონფერენცია გამოიყენონ, ივანიშვილი რომ დაასუსტონ და მათ მიერ დაქირავებულ-დაფინანსებული მეხუთე კოლონა ააყვირონ. ამისთვის სამზადისი უკვე დაწყებულია. მიუნხენის კონფერენციის წლიურ ანგარიშში ივანიშვილის პრორუს ოლიგარქად დასახელებას ახალი ტალღა მოჰყვა — მეხუთე კოლონა თავისი ტელევიზიებით გამოვიდა და ისევ კურსის რუსეთისკენ გადახრაზე დაიწყო ლაპარაკი. მერე ამ ყველაფერს არეულობას მოაყოლებენ. ეს არის მთელი სქემა და მიზანი — მათ სურთ, საქართველოზე ზეგავლენა მოახდინონ და ხელისუფლება ხელთ იგდონ.

ხელისუფლებამ ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია თუ ვერ მოახერხა, მხოლოდ იმის ძახილი, ოპოზიცია არ გვყავს და ამიტომ არჩევნებში 60%-ს ავიღებთო, საქმეს ვერ უშველის. ელექტორატი განსაზღვრავს, ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფს რამდენი ხმა ექნება, გადალახავს თუ არა ბარიერს, რამდენ კაცს შეიყვანს პარლამენტში და ა. შ. დააკვირდით, როგორ არის ელექტორატი რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი. მმართველ ძალას სერიოზული ადმინისტრაციული რესურსი აქვს, რაზეც სოციალური სექტორი და ის ადამიანები არიან მიბმული, ვინც ხელისუფლებას თანაუგრძნობს. მეორე ნაწილი დაახლოებით ბოლო ათი წლის განმავლობაში წარმოქმნილი ელექტორატია. ანუ, აქტიური ნაწილი, რომელიც ხელისუფლებაზე განაწყენებულია და მოტივაცია სჭირდება, რომ არჩევნებზე მივიდეს. ასეთი ადამიანების რიცხვი დაახლოებით 350 ათასია. ვიმეორებ, რომელიც აქტიურია და თუ მოტივაცია ექნება, არჩევნებზე მივა. ეს ის ხალხი როდია, რომელიც მხარს ნაცებს დაუჭერს. პირიქით, მათ ნაცების მიმართ აუტანლობა აქვთ, მაგრამ ხელისუფლებაზეც ნაწყენი არიან. ეს ხალხი დღეს არამოტივირებული და პლატფორმის გარეშეა. ეს დაახლოებით საერთო ამომრჩევლის 17%-ია. მესამე ნაწილი გახლავთ მეხუთე კოლონა — დასავლეთის მიერ დაფინანსებული პოლიტიკური ჯგუფები. ანუ, სააკაშვილის, ნაცების ელექტორატი. თავისუფალი ამომრჩეველი იმდენად მცირეა, რომ ის არჩევნებზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ანუ სამი სახის ელექტორატიდან მეორე მოტივაციის გარეშეა დარჩენილი. მას პლატფორმის შექმნის საშუალება თუ არ მიეცა, ეს დიდი შეცდომა იქნება, რადგან გამორიცხული არ არის, ეს ჯგუფი ან პასიურ რეჟიმში გადავიდეს, ან ხელისუფლებაზე გაბოროტებული ნაცების ამომრჩევლად იქცეს.

— რა შეუძლია მმართველ გუნდს გააკეთოს, რათა ეს ელექტორატი დაიბრუნოს.

— რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების რეალურ შესაძლებლობას ჯერ ვერ ვხედავ. სურათი შეიცვლება, თუ განაწყენებული ელექტორატისგან მეორე პლატფორმა შეიქმნება, რომელიც სახელმწიფოს მხარდამჭერი იქნება. პოლიტიკა იმდენად კომერციალიზებულია, რომ ეს პლატფორმა ვერ იქმნება — თუ ფული არ გაქვს, ვერაფერს გააკეთებ, ან ვინმეს უნდა მიეყიდო. ეს ჯგუფი ვერავის მიეყიდება და მას არც ფულს მისცემს ვინმე პლატფორმის შესაქმნელად. თუ ამ 350 ათას კაცს ახალი პოლიტიკური ტალღის შექმნისა და თვითრეალიზების საშუალება მიეცემა, გაჩნდება რეალური ალტერნატივა, რომელიც მეხუთე კოლონის მსგავსად ხელისუფლების, სახელმწიფოს წინააღმდეგ კი არა, არამედ მისი გაძლიერებისთვის იმუშავებს. ამ ჯგუფთან ერთად შესაძლებელი იქნება კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება და შედეგად შეიძლება კონსტიტუციური უმრავლესობაც შედგეს. ჯერჯერობით, ჩემი პროგნოზი ასეთია. ხალხი, იცით, რას ამბობს? — ფულსაც ავიღებთ, მაგრამ, ვისაც არ გვინდა, იმას ხმას არ მივცემთო. ამის გაკონტროლება საკმაოდ ძნელია. შეიძლება კაბინაში შესულმა პირმა ფოტო გადაიღოს იმის დასტურად, რომ ხმა მას მისცა, ვინც დაფინანსა და მერე ბიულეტენი გააფუჭოს, რასაც ვერავინ დაინახავს. ამის კონტროლი რთულია. სხვათა შორის, **ივანიშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანია. მას შეუძლია ახალ ტალღას ბიძგი მისცეს, მწვანე შუქი აუნთოს, რომელიც, ვიმეორებ, სახელმწიფოს გააძლიერებს და ახალ პოლიტიკურ სისტემას, კონსტრუქციას ჩამოაყალიბებს.**

თამარ შველიძე

ვინ დაამტკიცებს, რომ ნავალნის რუსეთი ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა

„საერთო გაზეთთან“ საუბრობს ბრიგადის გენერალი თადარიგში ამირან სალუქვაძე:

- ბატონო ამირან, სალომე ზურაბიშვილი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, კვლავაც მთავრობის ნების წინააღმდეგ ჩავიდა. ნახავდით, ალბათ, მის ინტერვიუებს უცხოეთის სხვადასხვა გამოცემასთან...

- სალომე ზურაბიშვილისგან ნორმების დარღვევა არ გვიკვირს. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ პატივს არ სცემს სახელმწიფო ინსტიტუტებს. ევროპასა და ევროპელობაზე კი დებს თავს, მაგრამ მისი ქმედებები არც ევროპულ და არც ქართულ სტანდარტში ჯდება. ის, კარგა ხანია, ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს და გაცხადებულ საგარეო კურსს. ფორმალურად კი საუბრობს, რომ, თითქოს, ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება სურს, მაგრამ სინამდვილეში სალომე ზურაბიშვილის თითოეული განცხადება არის ქვეყნის ინტერესების საზიანო და შემაფერხებელი.

„დამაგვირგვინებელი“ იყო მისი ინტერვიუ „ბლუმბერგთან“ და სანამ მიუნხენში იქნება, ალბათ, კიდევ ჩამოარიგებს ინტერვიუებს. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ „ჩვენ“ და ქართველმა ხალხმა დაიმსახურეს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. „ჩვენში“ ვინც იგულისხმა, გასაგებია. კიდევ ერთხელ ამოანთხია ბოღმა საერთაშორისო არენაზე და თქვა, რომ თითქოს ხელისუფლება აპირებდა კურსიდან გადახვევას და ქართველმა ხალხმა ამის უფლება არ მისცა. ამაზე დიდი მავნებლობა რა უნდა გააკეთოს?! დანარჩენად, მისი ლაზრანდარაობა და „ფოტოსესია“ ფასს კარგავს. ვნახეთ, რომ ფეხზე დამდგარი „გაქცეული“ ფოტოები გადაუღია, რაც იმას მოწმობს, რომ ოფიციალურ შეხვედრებზე კი არ არის ეს ქალი, დადის დერეფებში საკუთარ ფოტოგრაფთან ერთად, იქნებ ვინმეს გადაეყაროს... ნებისმიერმა უცხოელმა მაღალჩინოსანმა იცის რაც მოხდა, რა გადაწყვეტილება მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ და რა უძღვოდა წინ ამ ყველაფერს. მას არა აქვს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ვიზიტების უფლება, მაგრამ მაინც უტიფრად დადის.

„ბლუმბერგთან“ ინტერვიუში ზურაბიშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შემოდგომით არ გაიხსნას მოლაპარაკებები ევროკავშირთან, სადაც კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ხელისუფლების კურსი არის საეჭვო და მერყევი.

ორ დღეში ორი ანტისახელმწიფოებრივი ინტერვიუ მისცა პრეზიდენტმა. ამისთვის ჩაფრინდა მიუნხენში. EURACTIV-თან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ კოალიციური მთავრობა გვეყოლება. ვისთან უნდა შეიკრას კოალიცია, იქნებ ესეც დააზუსტოს? რომელ დაჯგუფებასთან, სააკაშვილის თუ კეზერაშვილ-მერაბიშვილის? იქნებ ამ კრიმინალებისგან თავისუფალი რომელიმე სერიოზული პარტია დაასახელოს? ვისი და რა ვალი აქვს ამდენი ამ ქალს, მავნებლობას რომ ვერ ეშვება? ნავალნის გამო რომ გადაიჭრეს ვენები, სააკაშვილ-გვარამიას ციხეებში რა ხდებოდა, არ იციან? წინა ხელისუფლების მიერ დაზარალებულებს უხეშად კარი მიუბრახუნა, „აქ რას მომივარდითო“, რეზიდენცია პოლიტიკური კრიმინალების „სხადნიაკად“ აქცია და ახლა დეპოლარიზაციაზე გვმოძღვრავს.

- „ბლუმბერგთან“ ინტერვიუში, მანვე აღნიშნა, რომ რუსი ოპოზიციონერი ნავალნისა და სააკაშვილის შედარების მიზეზი არ არსებობს. მაშინ, როდესაც ჩვენმა რადიკალებმა ნავალნის სიკვდილიც სათავისოდ გამოიყენეს და სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

- ზურაბიშვილი ამას, უბრალოდ, ვერ გაბედავს, რადგან მათი შედარება ყველა ნორმის დარღვევა იქნებოდა. ყველასთვის ცნობილი იყო ნავალნის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამის მიუხედავად, ის გადაიყვანეს რუსეთის ყველაზე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, ყველაზე მკაცრ კლიმატურ პირობებში. როცა ავადმყოფ პატიმარს ასეთ პირობებში ამყოფებ, ეს, ფაქტობრივად, მკვლელობის ტოლფასია. ჩვენ კი, უამრავ საქმეში ბრალდებული სააკაშვილი, რაზეც ჯერ კიდევ გამოძიებები მიმდინარეობს, ერთ-ერთ საუკეთესო კლინიკაში, ოროთახიან პალატაში მოვათავსეთ. ზუსტად ამის უარყოფა გაუჭირდა ზურაბიშვილს. სხვა ბევრ მიზეზთან ერთად, ეს არის სხვაობა, როგორ მოექცენ ნავალნის რუსეთში და როგორ ექცევიან სააკაშვილს საქართველოში.

ნავალნი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოწინააღმდეგე, შესაბამისად, საქართველოს მტერი. როცა რუსმა ჟურნალისტმა სობჩაკმა მას ჰკითხა, მართლა გამოდიოდით აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარების მომხრედო? მან დაადასტურა იგივე მახინჯი ისტორია, რასაც ლაპარაკობს პუტინი და რასაც ლაპარაკობენ სხვები... სააკაშვილის დაჯგუფება კი გვიმტკიცებს, რომ ნავალნი უკეთესი რუსეთისთვის იბრძოდა, მაგრამ ვინ დაამტკიცებს, რომ ნავალნის რუსეთი ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა? ეს იმას არ ნიშნავს, რომ ციხეში უნდა მოეკლათ, მაგრამ რითი განსხვავდებოდა ის სხვა პატიმრებისგან? რადგან ნავალნი პუტინის ოპოზიციაში იყო, სულაც ნიშნავს, რომ მე მის მიმართ პოზიცია უნდა შევიცვალო. ჩემი მტრის მტერი ყოველთვის ჩემი მეგობარი ვერ იქნება. იქნებ ის ორმაგი მტერია?!

- ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა კამილა ჰარისმა მიუნხენის კონფერენციაზე უკრაინას საჯაროდ აღუთქვა დახმარება, თუმცა აქვე განაცხადა, რომ კიევი დღეს თავისუფალი და ძლიერია. ასეთი შეფასება გამხნევება იყო მისი მხრიდან?

- რეალობას მოწყვეტილია, ჩემი აზრით, ეს ადამიანი. მის განცხადებები უფრო ამერიკის შიდა მოხმარებისთვისაა. ვინც იცის დღეს რა ხდება ბრძოლის ველზე და რა მძიმე მდგომარეობაშია უკრაინა, მისთვის ჰარისის სიტყვები ვერაფერი შვება იქნება. აღარაფერს ვამბობ უზარმაზარ მსხვერპლზე, ასიათასობით ადამიანის ფსიქოლოგიურ ტრავმაზე, დევნილებსა და ლტოლვილებზე, ქვეყნიდან გაქცეულებზე... მხოლოდ დანგრეული ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის აღდგენას დასჭირდება კოლოსალური თანხები და მრავალი წელი. დღეს თუ ვერ ეხმარებიან უკრაინას სათანაოდ, ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ეკონომიკის აღდგენაში დაეხმარებიან. თუ სხვაგვარად მოხერხდება „აღდგენა“ და მუქთად ჩაიგდებენ ხელში უძრავ-მოძრავ ქონებას, არ ვიცი.

იქიდან გამომდინარე, რომ შემცირებულია დახმარება, იძულებულნი არიან გააკეთონ საარტილერიო ჭურვების ეკონომია. მათ შორის, სისტემების უკმარისობასაც განიცდიან, რადგან ის ნადგურდება ბრძოლის ველზე და საჭიროა მარაგის შევსება. კი აძლევენ ტექნიკას უკრაინას, მაგრამ იმ მოცულობით აღარ - როგორც ადრე. რა თქმა უნდა, ეს რუსეთს მომგებიან პირობებში აყენებს. როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცი, მაგრამ ჩანს, რომ ბრძოლის ველზე ის ინტენსივობა აღარ არის, რაც იყო ადრე. საცეცხლე ზემოქმედების ინტენსივობას ვგულისხმობ, უკრაინის მხრიდან. ეს ყველაფერი

უკავშირდება იმას, რომ ამერიკამ შეუწყვიტა, ევროპამ კი შეუმცირა დახმარება უკრაინას. ორიოდე დღის წინ, ამერიკაში სენატი გაიარა ამ დახმარების პაკეტმა, სადაც საკითხი დადებითად გადაწყდა და კონგრესის ჯერი დადგა. თუმცა კონგრესი თვის ბოლომდე შვებულებაში გავიდა ისე, რომ საკითხი განსახილველადაც არ დაუყენებია. შესაბამისად, უკრაინის და მასთან ერთად ისრაელის, ტაივანის და შიდა საკუთარი საზღვრების საკითხებზე ფინანსების გამოყოფას კონგრესი მარტიდან განიხილავს. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს განხილვები, უცნობია. არ ვიცი როდის მიიღებენ პოზიტიურ გადაწყვეტილებას და მიიღებენ თუ არა, შემდეგ ამის აღსრულება დაიწყება. ამასობაში კი ხალხი იხოცება...

- თქვენი საუბრიდან გამომდინარე, დიდწილად არის უკრაინის ბედი დამოკიდებული ამერიკაზე.

- უკრაინის ბედი მთლიანად დამოკიდებულია დასავლეთის დახმარებაზე. დღეს ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უკრაინისთვის. დახმარების საჭიროება ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში დადგა. ამ ორი წლის განმავლობაში ვერც უკრაინამ და ვერც მისმა 54-მა პარტნიორმა ქვეყანამ მოახერხა, რომ მთლიანად ომზე გადართულიყო. თუ ამბობ, რომ დაეხმარები ქვეყანას, იმდენ ხანს უნდა დაეხმარო, რამდენ ხანსაც იქნება საჭირო. დახმარების მოცულობა უნდა იყოს შესაბამისი სამხედრო ვითარებასთან. ტანკები და მძიმე ტექნიკა კი გადასცეს შარშან, მაგრამ ნადგურდება ყველაფერი ბრძოლის ველზე. ამასობაში რუსეთმა გაახუთმაგა ტანკების რაოდენობა და მრავალჯერ გაზარდა ჯავშანტექნიკის და სხვა საჭირო სამხედრო ტექნიკის გამოშვება. უშვებს თანამედროვე თვითმფრინავებს, სამხედრო ხომალდებს ფლოტისთვის. ერთი მცურავი საშუალების მაგივრად, რომელიც რუსეთს გაუნადგურეს, წელს რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების მცურავი საშუალება გამოუშვეს, სხვადასხვა ფლოტისთვის. ეს არის რეალობა. იგივე ეხება საჰაერო თავდაცვას, რადიოელექტრონულ ბრძოლას და სხვა.

- როგორ ფიქრობთ, დროული იყო ზალუჟნის გათავისუფლება?

- ზელენსკი მოვიდა როგორც მშვიდობის პრეზიდენტი, თუმცა გაეხვა ომში. ომის დასაწყისში, მარტში, თურქეთში გამართულ მოლაპარაკებებზე, შეთანხმება თითქმის იყო მიღწეული, რაც ისე სახარბიელო იქნებოდა რუსეთისთვის. ამ შეთანხმების საფუძველზე, რუსეთი უნდა გასულიყო კიევიდან, ყირიმის და დონბასის სტატუსის საკითხი კი უნდა გადავადებულიყო 15 წლით, მაგრამ ჩაფრინდა კიევში ბორის ჯონსონი, რომელმაც უთხრა ზელენსკის, რომ არანაირი საშვიდობო შეთანხმება არ იქნება, რომ მათ უნდა იომონ... და უკრაინამ გააგრძელა ომი. პუტინს დღეს ეს ხელზე აქვს დახვეული და თუ ახლა სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყება, რუსეთის განწყობა ისეთი აღარ იქნება, როგორიც ორი წლის წინ იყო. თუმცა, აცხადებენ, რომ არც აპირებენ სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვას.

- პუტინი ამერიკულ გამოცემასთან აცხადებს, რომ თუ ამერიკა უკრაინას იარაღით აღარ დაეხმარება, ის მზად არის ცეცხლის შეწყვეტაზე უკრაინასთან მოსალაპარაკებლად.

- ცეცხლის შეწყვეტა თუ უნდა, ახლა უნდა შეწყვიტოს და არა შემდეგ, როცა უკრაინას საომრად იარაღი აღარ ექნება. ამ შემთხვევაში პუტინი რომელ ზღვარზე გაჩერდება, სადაც ახლა დგას, თუ გააგრძელებს წინსვლას და ჩავა კიევამდე? პუტინის ამ ინტერვიუს მთავარი გზავნილი იყო, რომ რუსეთს სურს მოლაპარაკებები. უამრავჯერ გაიმეორა, რომ მზად არიან, უარს არ ამბობენ, თუკი მათ პირობებს დათანხმდებიან.

ბორის ჯონსონს რომ დავუბრუნდეთ, 2022 წლის მარტში კარგად უნდა გაეთვალა როგორც უკრაინას, ასევე დასავლეთს, რა იყო უკრაინისთვის უკეთესი - ის შეთანხმება, რასაც მაშინ ხელი მოეწერა თუ მოვლენების ისე განვითარება, რომ ამერიკა ომში ჩაბმულიყო. ეს ომი ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ერთ-ორ კვირაში დამთავრდებოდა. ეს ომი ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ერთ-ორ კვირაში დამთავრდებოდა. ეს ომი ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ერთ-ორ კვირაში დამთავრდებოდა.

ვითარება, როგორც განვითარდა. მე ვფიქრობ, რომ დასავლეთმა რუსეთი არასათანადოდ შეაფასა. ვერ შეაფასა სწორად მისი სამხედრო თუ სამრეწველო პოტენციალი და ვერ შეაფასა სწორად საკუთარი შესაძლებლობები. ეს იგრძნობოდა ე.წ. კონტრშეტევის მომზადების დროს შარშან გაზაფხულზე. როცა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა უკრაინა. ეს იმის გამო კი არ მოხდა, რომ ზალუჟნი და უკრაინის თავდაცვის ძალები მოემზადა ცუდად, - არასათანადო შეიარაღება მიაწოდეს უკრაინას. რასაც ითხოვდა ზალუჟნი, ჩვენ ყველაფერი მივეცითო, ამბობენ, მაგრამ ყველაფერი ე.წ. კონტრშეტევის დასაწყისისთვის კი არ მისცეს, არამედ, დროში გასაწელად! რა ჩანაფიქრით უნდა განახორციელო შეტევა, როცა არა გაქვს საკმარისი რესურსი? - როცა მრავალჯერ ნაკლები ტანკი გაქვს, მრავალჯერ ნაკლები ავიაცია გაქვს, თვითმფრინავები, შვეულმფრენები? როცა არტილერიის მხრივ არ გაქვს თანაფარდობა, რომელ შეტევაზეა საუბარი? არასწორი შეფასებები, როგორც ომამდე, ასევე ომის საწყის პერიოდში, შეთანხმების გაფორმების დროს, როცა უარი ათქმევნეს შეთანხმებაზე და შემდგომშიც... აღარ მოვიყვან იმ მოქმედი და გადამდგარი გენერლების განცხადებებს, რას ამბობდნენ, რამდენჯერ გააკეთეს განცხადება, რომ ახლა ამ კონკრეტულ ვადებში უკრაინა დაიბრუნებს საზღვრებს და კიდევ რამდენიმე თვეში დაიბრუნებს ყირიმს... ეს ცრუ პროგნოზები სერიოზული ხალხისგან წარმოუდგენელია.

მართალია, ზელენსკის როლი იკვეთება უარყოფითად, მაგრამ ყველაფერს მას ვერ დააბრალებ, თუმცა, პროფესიონალი სპეციალისტები უნდა შემოიკრიბო, უნდა შეგეძლოს მათი მოსმენა და შემოთავაზებებიდან სწორი არჩევანის გაკეთება.

რაც შეეხება ზალუჟნის გათავისუფლებას, მე არ ვემხრობი. ზალუჟნიმ იმ არასაკმარისი რესურის პირობებში, რაც უკრაინას გააჩნდა, საკმაოდ ეფექტიანად იმოქმედა.

- როგორ ფიქრობთ, ამერიკის და ევროპის დაინტერესება რა არის ამ ომში?

- ისინი უკვე არც მალავენ, რომ რუსეთი უნდა დამარცხდეს სტრატეგიულად. როცა დახმარებაზეა საუბარი, ხშირად აცხადებენ რომ ეს დახმარება მომგებიანია ამერიკისთვის, რომ გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი რჩება ამერიკაში და იქმნება სამუშაო ადგილები. უამრავ კონგრესმენს და სენატორს აქვს გაცხადებული, რომ ეს არის ყველაზე იაფი კამპანია, რადგან არ იბრძვიან, არ იღუპებიან ამერიკელი ჯარისკაცები და მაინც აყენებენ ზიანს რუსეთს. ბაიდენიც იმეორებს ახლა, როდესაც კონგრესმენებს დახმარების პაკეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით ევაჭრება, რომ ეს არის კარგი ინვესტიცია, რომ ამით სამუშაო ადგილები იქმნება და ასე შემდეგ.

ამერიკისთვის წამგებიანი იქნება არჩევნებამდე ამ ომის უკრაინისთვის წარუმატებლად დასრულება. კონკრეტულად „დემოკრატებზეა“ საუბარი. ეს იქნება კატასტროფა მათთვის, რადგან ორი წელი ეხმარები, ამდენ ხარჯს იღებ და შედეგს ვერ მიაღწიე, - პირიქით, აქვს რუსეთს ეკონომიკური ზრდა, გაძლიერდა მისი სამხედრო პოტენციალი, რუსეთი დღეს სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით ძლიერია, ვიდრე იყო 2 წლის წინ. ავითარებს ტექნოლოგიებს, რაც არ ჰქონდა ან სუსტად ჰქონდა განვითარებული ორი წლის წინ. დღევანდელი შეფასებები ასეთია, რომ ეს იქნება დამანგრეველი დარტმა „დემოკრატებისთვის“. ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია, რომ თანხები გამოეყოს უკრაინას. თუ მარტში ან აპრილის დასაწყისში დახმარებას გამოყოფენ, ეს ომი გაგრძელდება მინიმუმ არჩევნებამდე, ან სანამ ახალი პრეზიდენტი მოვა. პრეზიდენტად ტრამპი თუ მოვა, მისი განწყობები ვიცით ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით და იმედია, თავის დანაპირებს შეასრულებს.

როგორც აღვნიშნე, რასაც ევროპა აძლევს უკრაინას დახმარების სახით, არასაკმარისია. რასაც ამერიკა ჰპირდება - 61 მილიარდს, უკვე აღარც ეს არის საკმარისი, რადგან შეიარაღების და, განსაკუთრებით, საბრძოლო მასალების ჭურვების ფასები ომის დაწყებიდან დღემდე რამდენჯერმე გაიზარდა. 5-6-ჯერ არის გაზრდილი 155 მილიმეტრიანი ჭურვის ღირებულება და ღირს 5-7 ათასი ევრო. ამით მდიდრდებიან კომპანიები და იღუპებიან უკრაინელები.

ამიტომ სჯობს, მწვავედ ილაპარაკო, ვიდრე ლამაზ ფერებში დაუხატო პერსპექტივა ადამიანებს. ვინმეს შეიძლება არ მოეწონოს ეს ჩემი შეფასებები, მაგრამ მე არ მომწონს, როცა საუბრობენ, რომ უკრაინა იგებს - ვითომ გული შესტკივათ უკრაინაზე! თუ ატყუებ, როგორი გულშემატკივარი ხარ?! ეს არ არის ომში მყოფი ქვეყნისა და ხალხის გამხნევება. ეს არის სიცრუე!

ნონა ქარქაშაძე

დღეს მსოფლიოში ლიბერალების და კონსერვატორების აშკარა დაპირისპირებაა

გვესაუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, შარშან, წლის ბოლოს პოლიტიკაში კვლავ დაბრუნდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რითიც შოკში ჩააგდო და დააბნია ოპოზიციური პარტიები. მთავრობაში ცვლილებებია... თქვენ როგორ შეაფასებდით მიმდინარე პროცესებს?

— ბატონი ბიძინა აქტიური პოლიტიკიდან რამდენჯერმე წავიდა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი პრობლემების გამო ბრუნდებოდა. ახლაც ასე მოხდა. საბედნიეროდ, ქვეყანაში ამჟამად საგანგაშო არაფერია. თუმცა, ბატონი ბიძინას დაბრუნება მაინც საჭირო გახდა. მიზეზებზე თავადვე ისაუბრა. ერთ-ერთი ქვეყანაში სუსტი, ფაქტობრივად, უნიათო ოპოზიციის არსებობაა, რაც ხელისუფლებაზე, მთავრობაზე ცუდად მოქმედებს. შესაძლოა, სუსტი ოპოზიცია მოქმედი ხელისუფლების თვითდამშვიდების საბაბი გახდეს. ეს დაუშვებელია, რადგან ეს უარყოფითად იმოქმედებს მთავრობის საქმიანობაზე.

— როგორ ფიქრობთ, რა მიზნები აქვს სამომავლოდ ბატონ ბიძინას?

— დეტალურად სიღრმეებში არ შევალ, მაგრამ ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ. სავარაუდოდ, ბატონი ბიძინა პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის პოზიციიდან შეეცდება, ქართულ პოლიტიკაში ახალი სახეები შემოიყვანოს. არ გამოვრიცხავ, რომ ზომიერი ოპოზიციიდანაც გადმოიბიროს ღირსეული პიროვნებებიც. თუმცა, ყოველივე ახლო მომავალში გამოჩნდება. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია მომავალ საპარლამენტო არჩევნებში არამარტო გამარჯვება, არამედ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოსვლა. როგორც ყრილობაზე განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, „ქართული ოცნება“ ხმების 60%-ის აღებას გეგმავს. ვფიქრობ, მიზანი და გეგმა შესრულებადია, რადგან ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსის მინიჭებამ საქართველოს ხელისუფლების ავტორიტეტი აამაღლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აქვე მინდა, ჩემი მოკრძალებული აზრი მოგახსენოთ. ნამდვილად კარგია პარტიის რიგების ახალი წევრებით შევსება, თუნდაც ოპოზიციიდან გადმობირება, მაგრამ, ამავე დროს, ხელისუფლებამ სათანადოდ უნდა დააფასოს ძველი წევრების ღვაწლი. ადამიანები, რომლებიც პარტიის შექმნის დღიდან საქმიანობდნენ, უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ და თუ იმსახურებენ, უნდა დააწინაურონ კიდეც. საჭირო და აუცილებელია საკუთარი აქტივის დაფასება, უყურადღებობამ, შესაძლოა, მომხრეთა გულისწყრომა, საქმის მიმართ გულაცრუება გამოიწვიოს. არც ის არის გამორიცხული, ისინი სხვა, კონკურენტი პარტიების მხარდამჭერებიც გახდნენ. საარჩევნო სიებში ისეთი ადამიანები არ უნდა მოხვდნენ, რომლებსაც ხალხთან ურთიერთობა უჭირთ. ვიმეორებ, პირველ რიგში, საკუთარი მხარდამჭერები, აქტივისტები უნდა დაფასდნენ, ვინც იდეურად არის „ქართული ოცნების“ მომხრე, თორემ ანგარებით პარტიაში შესულებმა, გამორიცხული არ არის, რომ საბოტაჟიც მოაწყონ.

— ირაკლი ღარიბაშვილი წარმატებული პრემიერ-მინისტრი იყო. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა საჭირო პარტიის თავმჯდომარედ მისი გადასვლა?

— დღეს მსოფლიოში კონსერვატორებისა და ლიბერალების აშკარა დაპირისპირებაა. ასეა ჩვენთანაც. არავის ვაკნინებ, მაგრამ ირაკლი გაწონასწორებული პიროვნებაა. მას შესწევს უნარი, საერთო ენა გამონახოს ლიბერალური შეხედულებების მქონეებთანაც და კონსერვატორებთანაც. პარტიაში გადასვლით ღარიბაშვილს ბევრი დრო ექნება მხარდამჭერებთან ურთიერთობისთვის, რაც თავადაც აღნიშნა. მისი პარტიის თავმჯდომარეობა „ქართულ ოცნებას“ წაადგება, რადგან ლიბერალებთან და კონსერვატორებთან ურთიერთობის დაბალანსება ჩვენს საპარლამენტო არჩევნებზეც აქტუალური იქნება, რისი უნარიც, როგორც უკვე გითხარით, ირაკლი ღარიბაშვილს აქვს. ამის გარდა, მმართველი პარტიის თავმჯდომარეობა პრესტიჟულია.



— ოპოზიცია, როგორც ვხედავთ, დაბნეულია, დაშლის პირას არიან. არჩევნებზე მათ რა შანსები ექნებათ?

— ოპოზიცია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „ნაცმოძრაობა“ გაიშალა და არ დაშლილა. უბრალოდ, შექმნეს პატარ-პატარა პარტიები, სახელები შეიცვალეს. იდეურად ისევ ისინი არიან, რომლებიც 2012 წლამდე იყვნენ. ახლა ცრუ დაპირებებით, ხელისუფლების მიმართ შეთითხნილი ბრალდებებით ცდილობენ მოსახლეობის გულის მოგებას, გადაბირებას. თუმცა, ხალხმა უკვე იცის, ვინ ვინ არის. სავარაუდოდ, გაზაფხულზე ოპოზიცია კიდევ უფრო გააქტიურდება. უცნაური ფაქტია — ხელისუფლებას, მმართველ პარტიას აღარ სჭირდება მათი ლუსტრაცია, რადგან თავად აძახებენ ერთმანეთს, რა დანაშაულებიც აქვთ ქვეყნის წინაშე, ერთმანეთის გაშავებით არიან დაკავებულები. ევროკანდიდატის სტატუსმა ერთი-ორად გაზარდა არჩევნებში ხელისუფლების გამარჯვების შანსები. ამიტომაც ცდილობდნენ, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიეღო. მოქმედი ხელისუფლების უპირატესობაა, რომ ქვეყანაში სტაბილურობა და მშვიდობა შეინარჩუნა. ნახეთ, რა ხდება მსოფლიოში. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებმა ლამის რუსეთ-უკრაინის ომი გადაფაროს. საერთოდაც, ევროკავშირს უფრო მეტად სჭირდება საქართველო, მით უფრო, მშვიდობიანი და სტაბილური, ვიდრე საქართველოს — ევროკავშირი.

— დაბოლოს, ბატონო გრიგოლ, არ შემიძლია არ გკითხოთ, ეგრეთ წოდებულ, კლუბურ ნარკოტიკებზე, რომელთა გამოც პერიოდულად იღუპებიან ახალგაზრდები...

— ჯერ კიდევ წლების წინ გავაჟღერე ჩემი პოზიცია, რომ ნარკომანიაზე სასჯელის შემცირება გამსაღებელთა რაოდენობას გაზრდიდა და მათაც და მომხმარებელსაც წაახალისებდა. რაც, სამწუხაროდ, გამართლდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას მუშაობას ვერ დავუწუნებთ — ათეულობით ნარკოგამსაღებელს ავლენენ და აპატიმრებენ. ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ნარკომანიის ლეგალიზებას ითხოვდნენ, ლობირებდნენ და იცავდნენ, ახლა პასუხისმგებლობას გაურბიან, ევროპის დავალებას ვასრულებდითო. სასულიერო პირების მოთხოვნა, დაიკეტოს ის კლუბები, სადაც ამ საწამლავს ასაღებენ, პრობლემას ვერ მოაგვარებს, ნარკომანიას ვერ აღმოფხვრის. ჩემი აზრით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ნარკოტიკებისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, ავუხსნათ ახალგაზრდებს, რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკების მოხმარებას. ამ მავნე სენს ბოლომდე თუ ვერ აღმოვფხვრით, ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლეს მაინც შევინარჩუნებთ.

გია ბურდული

ტელევიზია პოლიტიკური კლასის ხელში მახვილია - პოლიტიკოსები ჟურნალისტებით ხმალაობენ

„ჟურნალისტიკა არის ინსტრუმენტი პოლიტიკოსების ხელში. მედია ხალხის ინფორმირებას კი არ ემსახურება, არამედ მაქსიმალურად ცდილობს, დეზინფორმაცია მიაწოდოს და დაპირისპირებაში ჩაითრიოს საზოგადოება“, - ამის შესახებ „საერთო გაზეთთან“ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი საუბრობს. მისი თქმით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარალელიზმისგან მედიის გათავისუფლებას, რადგან ჟურნალისტის ჰუმანური პროფესია სიძულვილის მახვილად აქციეს:

- ბატონო ბონდო, ხშირად მახსენდება ჩემი პირველი ლექცია უნივერსიტეტში, როდესაც ცხონებულმა რეზო სურგულაძემ მომავალ ჟურნალისტებს პროფესიის არსი ასე განგვიმარტა: „ჟურნალისტიკა არის საზოგადოების მართვის საშუალება, ჟურნალისტიკა უნდა ემსახურებოდეს ხალხს“. ვინ „მართავს“ ახლა საზოგადოებას და ვინ ამკვიდრებს სტანდარტებს ქართულ ჟურნალისტიკაში?

-ბატონ რეზოს ვეთანხმები იმ ნაწილში, რომ ჟურნალისტიკა ხალხს უნდა ემსახურებოდეს, თუმცა დღეს ის პოლიტიკოსების ხელში მანიპულატორი და საზოგადოების მანიპულირების საშუალებაა. ჟურნალისტი არ უნდა „მართავდეს“ საზოგადოებას, რადგან, თუ მართვის სადავეებს ჟურნალისტი იღებს, ის კარგავს პროფესიას და სხვა კომპეტენციებში იჭრება. ამიტომ არ არის საჭირო იმ აზრის დამკვიდრება.

თუ კომუნისტურ მედიაზე საუბრობდა ბატონი რეზო, როცა ერთი პარტიის ორგანო იყო ყველა გაზეთი და ერთადერთი ტელევიზია არსებობდა, მაშინ ეს პროფესია საზოგადოების სამართავი ინსტრუმენტი იყო და არა „მმართველი“. მართავდა პარტია რაიკომებისა და საბჭოების მეშვეობით და, შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს პროპაგანდის მიზნით იყენებდნენ.

შემდგომ, 1990-იანი წლებიდან, როცა თავისუფალი მედიის ჩამოყალიბება დაიწყო, უფროსი ასაკის ჟურნალისტები ცდილობდნენ, ახალ ფორმაციას მორგებოდნენ და ეს პროცესი დაახლოებით 4-5 წელი გაგრძელდა. სწორედ 1990-იანი წლები იყო გარდაქმნის, საჯაროობის, პლურალიზმის წლები ქართულ ჟურნალისტიკაში. ისეთი მაღალი იყო თავისუფლების ხარისხი, როგორიც არსად მსოფლიოში არ არსებობდა და არც დღეს არსებობს. ამ წლებში საბჭოთა მმართველობის პერიოდში მომუშავე ჟურნალისტებმა დაიწყეს გარდაქმნა და როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ბუნებრივად ჩაეწერენ ახალ ფორმაციაში. ამავდროულად, გაჩდნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები, რომლებსაც არ ჰქონდათ კომუნისტურ პრესაში მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად, მათ სრულიად ახალი ჟურნალისტიკის შექმნა დაიწყეს. ყველაზე მეტად მათ გაუმართლათ, ვისაც მედიასაშუალებებში ძველი ფორმაციის მაღალი დონის პროფესიონალი ჟურნალისტები დახვდათ. გარდა იმისა, რომ მათგან ბევრი რამ შეიძლებოდა გესწავლა, გქონდა შედარებისა და ახალი ჟურნალისტიკის უპირატესობების დანახვის შესაძლებლობა...

2003 წლიდან უკვე დაიწყო პოლიტიკოსების მიერ ჟურნალისტებით მანიპულაცია. მანამდე არსებული ძალიან მაღალი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მთლიანად შეიცვალა და სააკაშვილმა დაიწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელში ჩაგდება, რადგან თავისუფალი მედიის ძალაც იცოდა და მისგან მომდინარე საფრთხეც გაცნობიერებული ჰქონდა. ვგულისხმობ ტელევიზიებს. წამყვანი სატელევიზიო არხები, ფაქტობრივად, ერთიანი ბადით იმართებოდა, ერთი და იგივე სიუჟეტები, თანმიმდევრობაც კი, ერთი და იგივე ტექსტები იყო: „პირველ არხზე“, „რუსთავი 2“-ზე და 2008 წლიდან უკვე „იმედზეც“... ამან გამოიწვია ჟურნალისტიკის გარკვეულ ნაწილში სერიოზული დეგრადაცია, გაჩნდა პოლიტიკური პარალელები, - არა ისეთი უხეში ფორმით, როგორც დღეს არის, მაგრამ ნელ-ნელა გაჩდნენ ეგრეთ წოდებული რეფორმატორების, ჟვანია-სააკაშვილის ჟურნალისტები, რომლებსაც ვიღაც საჩუქრებს ჩუქნიდა, ფულს აძლევდნენ, ვიზიტებზე დაჰყავდათ, პიკნიკებზე ეპატიჟებოდნენ... ეს პროცესი 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ჟურნალისტები, რომლებიც 1990-იან წლებში გაიზარდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, გადაიყვანეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში და ეკრანს ჩამოაცილეს. ამავდროულად, სააკაშვილის პოლიტიკამ შეზღუდა ბეჭდური მედია. ის მოუწოდებდა საჯარო სამსახურებს, რომ, რადგან გაზეთებს თავად არ კითხულობდა, არც მათ წაეკითხათ, არ გამოეწერათ და დაიწყო პრესის შეზღუდვა, მათ შორის, გავრცელების სამსახურის, ჯიხურების და ასე შემდეგ... ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომლის სათავეშიც იდგა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ ამ ყველაფერს ახორციელებლდა გიგი უგულავა. უგულავა იყო სატელევიზიო დღის წესრიგის შემქმნელი და მედიასივრციდან პრესის განდევნის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი.

- გარკვეული დაღი დაასვა ამ წლებმა ჟურნალისტთა თაობას, რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით.

- რასაკვირველია! 2004 წლიდან, ფაქტობრივად, მედია გახდა პოლიტიკის დანამატი. ის აღარ იყო უკვე „ავი ძაღლი“, რომელიც ხალხის ინტერესებს იცავდა და საზოგადოებას ემსახურებოდა - მედია გახდა პარტიული საკუთრება, როგორიც იყო კომუნისტების პერიოდში. ამჯერად უკვე სხვადასხვა ფინანსური ნაკადით „დააბეს“ და კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სამსახურში ჩააყენეს. შესაბამისად, მედიის მიზანი გახდა საზოგადოების დეზინფორმირება, რეალობის გამრუდებულად ჩვენება. სწორედ ამ დროს გაჩნდა გასართობი გადაცემები და არამხოლოდ საქართველოში.

ძალიან კარგად მახსოვს, რომ 2004 წლის 3 თებერვალს, წამყვანებისთვის სრულიად მოულოდნელად, ერთდროულად, პირდაპირ ეთერში დაიხურა ორი გადაცემა. ერთი იყო ეკა ხოფერიას „ღამის კურიერი“, სადაც სტუმრობდა ზურაბ ჟვანია და საკონსტიტუციო ცვლილებებზე ლაპარაკობდა. მან იქვე თქვა, რომ ხოფერიას შეკითხვები არ მოეწონა. მაშინ, მოგეხსენებათ, რევოლუციური „რუსთავი-2“, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ თავს ბევრის უფლებას აძლევდა. ჟვანიამ თქვა, ჩვენ ამ საკითხებზე ყბედობას არ ვაპირებთო და ეკა ხოფერიამ იმავე გადაცემაში გამოაცხადა, რომ ეს იყო მისი ბოლო გადაცემა! პარალელურად, დაიხურა ინგა გრიგოლიას „ღამის მზერა“ ტელეკომპანია „მზეზე“. ინგამაც ასევე, პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, რომ ეს იყო ბოლო გადაცემა და დაგვემშვიდობა. სააკაშვილის ინაუგურაციიდან ათიოდე დღე იყო გასული. ათ დღეში დახურა ღამის თოქშოუები სააკაშვილმა. შემდგომ დაიწყეს „სამოთხის ვაშლები“, „ცხოვრება მშვენიერია“ და მსგავსი გასართობი გადაცემების მომზადება, რათა საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ ახლა გართობის დროა, დანარჩენზე თქვენ ნუ ინერვიულებთ, ჩვენ მივხედავთო. პოლიტიკური გადაცემები გააქრეს მედიასივრციდან, საინფორმაციაო გადაცემებს კი მთლიანად თვითონ აკონტროლებდნენ.

- ღღესღღეობით რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად ქართულ მედიაში?

- 2012 წლის შემდეგ, ქართულმა მედიამ სხვანაირად დაიწყო ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, ბეჭდური მედია ისევ დაჩაგრულია, რადგან დოტაციის გარეშე მისი არსებობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თვითღირებულება ძალიან მაღალია, შესაბამისად, გაზეთის ფასი გაიზარდა და მყიდველი ნაკლებად არის, რაც ძალიან სერიოზული პრობლემაა. პლუს ამას, გაჩნდა მედიის ელექტრონული ვერსიები

და ეს უფრო ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის. ტელევიზიები საერთოდ კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ეს მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, იგივე სჭირს ამერიკულ და ევროპულ მედიას - ეს არის პარტიული კუთვნილება, პოლიტიკური პარალელიზმი. ერთი ამბობს, რომ არის ზომიერი ტელევიზია, მეორემ „კრიტიკული მედია“ დაირქვა, მაგრამ ეს ტყუილია. ყველა მედიასაშუალებას ჰყავს კონკრეტული დამფინანსებელი, რომლის მხარდაჭერილ პოლიტიკურ ძალასთანაც არის აფილირებული ესა თუ ის ტელეკომპანია და დამფინანსებელი განსაზღვრავს მის დღის წესრიგს. რადგან ისეც ყველამ ვიცით, რომელი ტელევიზია რომელი პარტიის პროპაგანდის საშუალებაა, მომხრე ვარ, რომ საქართველოში არსებობდეს პარტიული მედია.

1980-იანი წლების დამლევს და 90-იანი წლების დასაწყისში იყო პარტიული მედია, გარდა იმისა, რომ არსებობდა სხვა გაზეთებიც. რუსთაველის საზოგადოებას, მერაბ კოსტავას საზოგადოებას, ეროვნულ-დემოკრატულ პარტიას, ზვიად გამსახურდიას ბლოკს, სახალხო ფრონტს, ტრადიციონალისტთა კავშირს... ჰქონდათ თავიანთი გაზეთები, რომლებსაც ზედ ეწერა, რომ ეს არის ამ კონკრეტული მიმართულების გაზეთი. გახსოვთ, რომ 1992 წლის იანვრიდან, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, მთავრობამ გაათავისუფლა მედია, ანუ უზენაესი საბჭოს გაზეთები აღარ არსებობდა. „საქართველოს რესპუბლიკა“ იყო ერთადერთი გაზეთი, სადაც ოფიციალური მასალები, ოფიციალური დოკუმენტები, კანონპროექტები, კანონები თუ ბრძანებულებები იბეჭდებოდა. დღესაც შეუძლიათ ადამიანებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნახონ მაშინდელი „საქართველოს რესპუბლიკა“, სადაც ყველაფერია გამოქვეყნებული, მათ შორის, პრეზიდენტის გამოსვლები, მთავრობის წარმომადგენლების თუ ჩამოსული მაღალი დონის სტუმრების საჯარო გამოსვლები, ვიზიტები და ასე შემდეგ. დროთა განმავლობაში პარტიული პრესა გაუქმდა და 20 წლის შემდეგ ჩვენ მივიღეთ უკვე პარტიული ტელევიზიები. პრესა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

ქართული ჟურნალისტიკის მეორე უბედურება არის ენჯეო-პარალელიზმი. ეს გრანტებზე დამოკიდებული მედია ცალკე სეგმენტია, სადაც აქტიურად ჩანს „ენჯეო“ და ლიბერალური დღის წესრიგი. ისინი გრანტს ვერ მოიპოვებენ და, ელემენტარულად, ხელფასსაც ვერ აიღებენ, თუ თავიანთი დამფინანსებლის ინტერესები არ გაატარეს. ამიტომ ცდილობენ, გრანტის მიმცემებთან საქმე არ გაიფუჭონ...

ასეთ მდგომარეობაშია დღეს ქართული მედია და ამ ფონზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მედიის პოლიტიკური პარალელიზმიდან გათავისუფლებას. ძალიან რთული საკითხია, მაგრამ ეს უნდა შევძლოთ, რადგან ვხედავთ, რომ მედია ხალხის ინფორმირებას კი არ ემსახურება, არამედ მაქსიმალურად ცდილობს, დეზინფორმაცია მიაწოდოს და დაპირისპირებაში ჩაით-



რიოს საზოგადოება. პოლიტიკოსების პოლიტიკური დაპირისპირება ჩვეულებრივი ამბავია, პლურალიზმი თავისთავად გულისხმობს ამას, მაგრამ პოლიტიკოსებმა მედიის მეშვეობით და, განსაკუთრებით, ტელევიზიების მეშვეობით, ეს პროცესი ხალხში გადაიტანეს, რაც დაპირისპირებას, პოლარიზაციას და რადიკალიზაციას იწვევს უბრალო ადამიანებში. ეს ძალიან დიდი საფრთხეა საზოგადოებისთვის.

გახსოვთ, ალბათ, 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, საზოგადოების ერთი ნაწილი, საერთოდ არ ცნობდა არანაირ არჩევნებს. ზვიად გამსახურდიას მომხრეები არანაირ პოლიტიკურ პროცესში არ მონაწილეობდნენ, მთლიანად გაემნიჯნენ საარჩევნო პროცესს, როგორც ამომრჩევლები და როგორც მონაწილეები. დღეს სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდით და ეს არის დაპირისპირებელი მხარეების ამომრჩეველების ურთიერთსიძულვილი. მთელი პრობლემა ის არის, რომ, მაგალითად, ხელისუფლების მხარდამჭერი ტელევიზიების ჟურნალისტები და რესპონდენტები აბსოლუტურად მიუღებელი არიან რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერი ამომრჩევლისთვის და პირიქით, რადიკალური პარტიების მხარდამჭერი ტელევიზიების ჟურნალისტები კატეგორიულად მიუღებელი არიან ხელისუფლების მხარდამჭერი საზოგადოებისთვის, - მეორე მხარეს სძულხარ, პირდაპირი მნიშვნელობით!

ეს ანგრევს ჟურნალისტიკის მიმართ პატივისცემას, ანადგურებს ჟურნალისტის პროფესიას და რეპუტაციას. ჟურნალისტიკა, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება, საერთოდ კარგავს ავტორიტეტს! სამწუხაროდ, დღეს ასეთი მოცემულობა გვაქვს. ჟურნალისტიკა გადააქციეს სიძულვილის ასპარეზად, ხალხი კი დაიღალა ამდენი აგრესიით.

- შედგად, ჟურნალისტების მიმართ პატივისცემა მათდამი სიძულვილით შეიცვალა. საზოგადოების დიდ ნაწილს არ ვუყვარვართ...

- ხშირად ამბობენ, რომ პოლიტიკა „ბინძური“ საქმეა, რასაც არ ვეთანხმები. არიან „ბინძური“ პოლიტიკოსები, თუმცა, შეიძლება მასწავლებელი ან ექიმიც აღმოჩნდეს ასეთი. ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ მასწავლებლობა ან ექიმობა „ბინძური“ პროფესიაა?! ამიტომ პოლიტიკის მსგავსი შეფასებაც არასწორია. იგივე შეფასებები გვესმის ჟურნალისტიკის მიმართ, არ უყვართ ჟურნალისტები! როდესაც ჩვენ ეს პროფესია ავირჩიეთ, გარდა იმისა, რომ სწორი და მიუკერძოებელი ინფორმაცია უნდა მიგვეწოდებინა საზოგადოებისთვის, ავირჩიეთ იმის გამოც, რომ ჩვენი მაყურებლისთვის, მსმენელისთვის, მკითხველისთვის სანდო და საყვარელი ადამიანები ვყოფილიყავით! ყველა ადამიანს აქვს სურვილი, რომ მის მიმართ სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავდნენ. არიან ექიმები, რომლებიც უყვართ პაციენტებს, არიან პედაგოგები, რომლებიც ბავშვებს არასდროს ავიწყდებათ... ასეთი განწყობა მინდა იყოს ჟურნალისტების მიმართაც, მაგრამ სამწუხაროდ, არც პოლიტიკოსები და არც თავად ჟურნალისტები, ამისთვის არაფერს ან ვერაფერს ვაკეთებთ!

- ბატონო ბონდო, როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, რას გვეტყოდით, არის თუ არა „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საზოგადოების კუთვნილება და რის გამოსწორებას ისურვებდით „ხალხის ტელევიზიაში?“?

- ვფიქრობ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იდეალურისგან შორს არის. ძნელია დღეს იდეალური ტელევიზიის გაკეთება, რამდენი ფულიც უნდა ჩადო მასში, რადგან, როგორც ვთქვით, ძალიან მაღალია პოლარიზაციის ხარისხი საზოგადოებაში. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებელი მიუკერძოებელია და ქმნის არაჩვეულებრივ სატელევიზიო პროდუქტს. ნებისმიერი გადაცემა, ჩვენი თუ შეძენილი პროდუქცია, ხარისხზეა გათვლილი და ყველაფერი გემოვნებიანია: დოკუმენტური თუ შემეცნებით-საგანმანათლებლო ფილმები, სერიალები, მხატვრული თუ ანიმაციური ფილმები, ყველგან ჩანს გემოვნება და მაღალი ხარისხი. რა თქმა უნდა, ტექნიკურ მხარესაც ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. ფინანსები, რაც „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ აქვს, არის საქართველოს მოქალაქეების, გადასახადების გადამხდელების ფული და, შესაბამისად, უნდა შეიქმნას მაღალი ხარისხის პროდუქცია. ზოგჯერ კითხულობენ, რატომ არა აქვს „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მაღალი რეიტინგი? - იმიტომ, რომ მას არასდროს, არც ერთხელ არ გადაუდგამს და არც მომავალში გადადგამს ნაბიჯს რადიკალიზმისკენ. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ გაკეთდა, ეს იყო „ტელესკოლა“ 2020 წელს. ამჯერად გვინდოდა გაკეთებულიყო საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის „ტელესკოლა“, რაც იქნებოდა მოზარდებისთვის, როგორც კლასგარეშე შემეცნების საშუალება, სადაც სპეციალისტები ილაპარაკებდნენ ლიტერატურაზე, რომელ ასაკში რა წიგნი უნდა წაიკითხო და ასე შემდეგ. გვინდოდა მოგვემზადებინა ტელესპექტაკლები, სადაც „გავაცოცხლებდით“ ლიტერატურულ გმირებს, იქნებ, ვინმეს ეკრანზე მაინც ენახა და შემდეგ წიგნის წაკითხვითაც დაინტერესებულიყო, მაგრამ ამ ყველაფერს ბიუჯეტი სჭირდება. ეს მხოლოდ ტელევიზიის ჟურნალისტების და ტექნიკური პერსონალის გასაკეთებელი არ არის. ამჯერად კი ჩვენთვის პრიორიტეტულია ახალ შენობაში გადასვლა, რომლის მშენებლობაც მიმდინარე წელს დასრულდება. შეიძლება ითქვას, ეს არის საუკუნის მშენებლობა ტელევიზიის ისტორიაში. კიდევ ასი წელი აღარავინ იფიქრებს ახალი შენობის აშენებაზე „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“. იმის მიუხედავად, რომ იმდენი მაყურებელი არ გვყავს, რამდენიც, დავუშვათ, „იმედს“, ჩვენი მაუწყებლობის მიმართ ნდობა ძალიან მაღალია. ჩვენ არა გვაქვს პოლიტიკური დღის წესრიგი, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ აქვს საზოგადოებრივი და სახელმწიფო დღის წესრიგი. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება ჩვენი მაყურებელი, ხელისუფლების მომხრე, ოპოზიციის მხარდამჭერი თუ პოლიტიკური პროცესების მიმართ ინდიფერენტული ადამიანი. ჩვენთვის მთავარია, შევქმნათ მაღალი ხარისხის სატელევიზიო პროდუქტი და საზოგადოებაში მაღალი კულტურა და ფესვეულოები დავამკვიდროთ. ნებისმიერი ინიციატივის გასაზიარებლად მზად ვართ და ჩვენი კარი მართლაც ყველასთვის ღიაა.

- უფროსი თაობის ჟურნალისტებთან მუშაობის გამოცდილება გაქვთ. რა თვისებებს გადმოიტანდით მათგან თანამედროვე მედიაში?

- მოთმინებას, თავდაჭერილობას, სერიოზულობას, სიდინჯეს, პროფესიონალიზმს, წერის მაღალ კულტურას, ამავდროულად, ადამიანის ღირსების გათვალისწინებას... 18 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე გაზეთ „თბილისში“, ნარგიზა მგელაძის რედაქტორობის დროს. შემდეგ ვმუშაობდი „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ძირითადად, უფროსი თაობის ჟურნალისტები დამხვდნენ. ყველაზე მეტად რაც მომწონდა, ის იყო, რომ მათ პუბლიკაციებში, კრიტიულ წერილებშიც კი, სადაც გამანადგურებელი კრიტიკა იყო, არასდროს ღირსებს შემლახავი და შეურაცხმყოფელი არაფერი მინახავს. მათი წერილები იყო მაღალი კვალიფიკაციის ნიმუში. თუ არ შეგიძლია ლანძღვა-გინების გარეშე ადამიანი გააკრიტიკო, ამ საქმეს თავი უნდა დაანებო. კრიტიკული უნდა იყოს წერილი, მაგრამ არა შეურაცხმყოფელი და დამაკნინებელი.

ხომ გახსოვთ, როგორი კრიტიკული იყო თქვენი გაზეთის რედაქტორის, ცხონებული ვახტან ხარჩილავას პუბლიცისტიკა! გამანადგურებელი პუბლიცისტიკა ჰქონდა - რომ წაიკითხავდი, იფიქრებდი, ვაი, იმ უბედურს, ვისაც ხარჩილავა კალამს წამოსდებსო, მაგრამ მისი კრიტიკა არასდროს ყოფილა პიროვნების შეურაცხმყოფელი. დღეს კი მედიასაშუალებებში ვხედავთ ქუჩის ჟარგონებს, რაც წარმოუდგენელი ამბავია.

თუკი ჩვენ, ჟურნალისტები ადამიანში პოზიტივს არ დავინახავთ, ესე იგი პატივს არ ვცემთ საკუთარ პროფესიას. ჟურნალისტი არის სიყვარულის პროფესია, ჟურნალისტი ვერ იქნები, თუ ადამიანი არ გიყვარს. განა, იმიტომ აკრიტიკებ ვიღაცას, რომ გძულს, - ადამიანი რომ გიყვარს და შენი სამშობლო რომ გიყვარს, იმიტომ აკრიტიკებ მას, ვინც რაღაც დაუშავა კონკრეტულ ადამიანს ან შენს სამშობლოს!

- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ჟურნალისტიკა „მეოთხე ხელისუფლება“, როგორც მას წლების წინათ უწოდეს?

- ჟურნალისტიკა იყო მეოთხე ხელისუფლება, მაგრამ ახლა არის ინსტრუმენტი პოლიტიკოსების ხელში. ბეჭდურ მედიას არ ვეხები, აქ პლურალიზმის და დამოუკიდებლობის ხარისხი შედარებით მაღალია, მაგრამ მას არ ჰყავს დიდი აუდიტორია. არც რადიოა ჯერჯერობით პოლიტიკოსების მძაფრი ინტერესის საგანი და ამან გადაარჩინა, ისევე, როგორც ბეჭდური მედია, თუმცა, ამ უკანასკნელს ძალიან დიდი გზა აქვს გასავლელი გადარჩენამდე და საბოლოოდ წელში გამართვამდე. ტელევიზიები მეოთხე ხელისუფლება კი არ არის, ტელევიზია პოლიტიკური კლასის ხელში მახვილია, - ისინი ჟურნალისტებით ხმალაობენ. ეს კი კატასტროფაა.

- დაბოლოს, რას ეტყოდით ახალგაზდა ჟურნალისტებს და მათ, ვინც მომავალში აპირებს ამ პროფესიის არჩევას?

- ახალგაზრდა ჟურნალისტებს ყოველთვის ვეუბნები, რომ ჟურნალისტობას ვერ ისწავლი, თუ ამ პროფესიის სიყვარული შინაგანად არა გაქვს. შეიძლება ისწავლო ხერხები, ისწავლო, როგორ გააკეთო სატელევიზიო პროდუქტი, როგორ გააკეთო გაზეთი... მაგრამ ჟურნალისტი რომ იყო, კალამი უნდა გიჭრიდეს, აზრის გადმოცემა უნდა შეგეძლოს, კარგი ზოგადი განათლება უნდა გქონდეს და მხატვრულ ლიტერატურას უნდა კითხულობდე იმისთვის, რომ გაგაჩნდეს სიტყვათა მარაგი. თუ თავისუფალი თემა არასდროს დაგიწერია და ამის მოთხოვნილება არ გაქვს, ასეთი ადამიანისგან ჟურნალისტი არ გამოვა. ლაპარაკი ერთია და საკუთარი აზრების ფურცელზე გადატანა - მეორე. კალამი და ფურცელი სხვა კულტურას აყალიბებს, გონება სხვანაირად მუშაობს, როდესაც ფურცელზე წერ.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არასოდეს აირჩიოთ ჟურნალისტიკა პროფესიად, თუ არ გიყვართ ადამიანი, თუ ის თქვენთვის მხოლოდ სამიზნეა. დაიწყეთ ადამიანების სიყვარული თქვენი მშობლებით, ოჯახის წევრებით, მეგობრებით, მეზობლებით. თუ ადამიანზე ბრაზდებით და მისი გამეტება შეგიძლიათ, მაშინ თქვენგან ჟურნალისტი არ გამოვა. ჟურნალისტობა არის ბრძოლა, სადაც ღირსეული მებრძოლი უნდა იყო, რადგან აქ თუ რაინდი არა ხარ, - ხდები მკვლელი! ამას აკეთებენ კიდეც, რასაც სიტყვით მკვლელობა ქვია. ეს არის დღევანდელი ჟურნალისტიკის „პრივილეგია“, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს ადამიანის სიყვარულით.



ნონა ქარქაშაძე

თუ ღმერთს უარყოფ, ყველაფერი კრახით დამთავრდება

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია:

— როგორ შეაფასებთ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას?

— მისი დაბრუნების მიზეზი იყო როგორც საგარეო, ისე საშინაო პრობლემები. ქვეყანა ძალიან რთულ პერიოდს გადის. როგორც იქნა, დავდექით პოზიციაზე, რომ დავიცავით ღირსება და სამშობლო. ამ ფონზე მოგვცეს სტატუსი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის სიყვარული დაგვიფასდა. 2030 წლამდე უნდა განიხილონ ჩვენი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხიც. მშვიდობა რომ შევინარჩუნოთ და შარში არ გავეხვიოთ, ამიტომ ივანიშვილმა გადაწყვიტა პოლიტიკაში დაბრუნებულიყო და ეს საკითხი კონტროლზე აეყვანა. მას პოლიტიკაში ყოფნის ინტერესი არ აქვს, არამედ სურს, ქვეყანამ ევროკავშირის წევრობამდე მშვიდობით მიაღწიოს.

— ხშირად აღგიღნიშნავთ, რომ მთავარი პროიორიტეტი ქვეყნის განვითარების განათლებაა.

— თაკო, ამ კუთხით, პოზიცია არ შემიცვლია — ადამიანის, კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი გზა, განათლებაშია. განათლება ასე მალე ეფექტს არ იძლევა. ის განათლება, რაც ჩვენთან 2003 წლიდან დაინერგა, იმის მაჩვენებელია, რომ არ უნდოდათ ქვეყანას თავისუფალი, ძლიერი პიროვნებები გაზრდოდა. დღეს სიტუაცია შეიცვალა. ფუნდამენტური, ზოგადი განათლება უნდა გაძლიერდეს. ახალი მინისტრი ამ პროექტებზე მუშაობს. განათლება ყველგან ერთ დონეზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი სოფელშიც, რაიონშიც და ქალაქშიც. განათლება 5-10 წელიწადში შედეგს არ იძლევა, მაგრამ სწორი მიმართულების მიცემა, ბევრს ნიშნავს. **განათლება სინათლეა, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის არის საჭირო** არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფუნდამენტური კუთხით. როგორც ილია ამბობდა: ჯერ თავო და თავოო... ამიტომ ჯერ ჩვენი კულტურა უნდა შევისწავლოთ და მერე სხვისი. შენი თვიდმყოფადობა — ისტორია, კულტურა უნდა შეისწავლო. ეს რომ არ იცი, სირცხვილია. იმედი მაქვს ამას ყურადღება მიექცევა.

— როგორ აფასებთ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ბერლინალეზე მონაწილეობას?

— ჩვენს ქვეყანაში კინო ყოველთვის ხელოვნების წამყვან დარგად მიიჩნეოდა. მსოფლიომ საქართველო სწორედ ქართული ფილმით გაიცნო. ჩემი ოჯახის წევრები ამ პროცესში კინოს განვითარების საწყისი ეტაპებიდანვე იყვნენ ჩართულნი. როგორც ვიცი, ბერლინის კინოფესტივალზეც გიორგი შენგელაიას რეტროსპექტივა მოითხოვეს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გიორგი შენგელაია ერთადერთი ქართველი რეჟისორია, ვინც „ვერცხლის დათვი“ მოიპოვა ფილმისთვის „კომპოზიტორის მოგზაურობა“. ასე რომ, ქართული კინოს მიმართ ინტერესი კვლავ არის. უცხოეთში, თავად ბერლინალეზეც ქართულ კინოს კარგად იცნობენ.

ჩვენ ძალიან ნიჭიერი რეჟისორები გვყავდა. ეს დარგი ჩვენს ხელოვნებაში, კულტურაში ყოველთვის წამყვანი იყო. ასე რომ, კინოხელოვნებას ვგულშემატკივრობ. ვისურვებდი ამ დარგს მეტი ყურადღება მიექცეს. პირადად ჩემს მაგალითზე გეტყვით: სხვადასხვა ქვეყნებიდან — დაწყებული იაპონიის ცნობილი კინოინსტიტუტებიდან ნიუ-იორკით დამთავრებული, ასევე, საფრანგეთის, ლონდონის, შვედეთის ინსტიტუტები მთხოვენ, ჩემი დიდი წინაპრების ფილმები მივაწოდო, მაგრამ ისინი გაციფრული არ არის. არადა, ეს ფილმები შედევრებად ითვლება.

— თანამედროვე კინოხელოვნებაზე რას გვეტყვით? რიგი რეჟიორების ფილმები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს...

— ზოგ ეპოქებში ამ სფეროში ნიჭიერი ხალხი მოღვაწეობს და შედევრებიც იქმნება, თუმცა, სამწუხაროდ, არის ეპოქები, როცა ამ კუთხით სერიოზული ჩავარდნა გვაქვს. დღევანდელ კინოზე, აბა, რა გითხრათ. არ მახსენდება ისეთი ფილმი, რომელმაც თავი დამამახსოვრა. რომელიმე რეჟისორს შედევრი რომ გადაეღო, ეს გახმაურდებოდა და ინტერესს გამოიწვევდა, მენახა. ჯერ კარგი ფილმები შექმნან, გვაჩვენონ და პრეტენზიები მერე გამოთქვან. სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად იღებენ ფილმებს ქართულ საფუძვლებზე, ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე, მშვენიერებაზე. სოციალურ თემატიკაში არიან ათქვეფილნი. იცით, რატომ მოსწონდათ ქართული ფილმი? — იმიტომ, რომ ის ქართულ თემატიკაზე იქმნებოდა და სწორედ ეს იწვევდა ინტერესს. ახლა ყველა ფილმი ერთმანეთს ჰგავს, ვერ გაარჩევ ქართულია, თუ სხვა ქვეყნის. ყველა შედევრში ეს იქნება ფილმი, ნახატი, მუსიკალური ნაწარმოები თუ სხვა, გულწრფელი განცდა უნდა ჩანდეს. თუ შენ მაყურებელს ქართულ თემატიკაზე არ მოუთხრობ, სხვა რით უნდა დაინტერესო?!

— ეს ფესტივალი რამდენად შეუწყობს ხელს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას?

— რა თქმა უნდა, ეს პროცესი ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში ფინანსები შემოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნიჭიერ ადამიანებს გააჩენს. ხელოვანი ღვთისგან ბოძებული ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული. ნიჭიერი ან იბადები, ან — არა. შეიძლება კარგი განათლება მიიღო, მაგრამ ნიჭს ვერ შეიძენ. ჩვენი ახალგაზრდების იმედი მაქვს. ზოგადად, ქართველები, მათ შორის, ხელოვანები ნიჭიერი ხალხია. დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში დიდ რეჟისორს ვერ ვხედავ.

— ოპოზიცია ბერლინალეზე გაგზავნილი დელეგაციით უკმაყოფილოა...

— გსმენიათ, რომ ოპოზიცია რამით კმაყოფილია?! მზიანი ამინდი როცა არის, ამითაც უკმაყოფილონი არიან.

— ნაცებს და მათ ტელევიზიებს კულტურის მინისტრისთვის ომი აქვთ გამოცხადებული...

— კულტურა დროში ფასდება. ქართული კულტურის განვითარებას მინისტრები კი არა, ნიჭიერი ხალხი წყვეტს. რაოდენ კარგი მინისტრიც უნდა გვყავდეს, თუ ნიჭიერი მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი არ გვეყოლა, არაფერი გამოვა. სამინისტრო რიგი საკითხების ორგანიზებას ახდენს, რაც კარგია. მაგრამ მე თუ მკითხავთ, უფრო მეტი ყურადღება ფუნდამენტური, კლასიკური ხელოვნების განვითარებას უნდა დაეთმოს ისე, როგორც ეს ევროპაშია — დრამატული თეატრები, კლასიკური მუსიკა წინა პლანზეა წამოწეული. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და შოუბიზნესის წარმომადგენლები რომ გადარჩნენ, ფოლკლორი ასპარეზს მათ უთმობს. რეალურად, უნდა ვეცადოთ, ხელოვნების კლასიკური დარგები შევინარჩუნოთ.

— წელან თქვით, ახალგაზრდების იმედი მაქვსო. როგორ მივიღეთ ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც მოლოტოვის კოქტეილებს ისვრის, კონსტიტუციას წვავს... სად არის გონებით პატრიოტი ახალგაზრდობა?

— მოლოტოვის კოქტეილებს ვინც ისროდა, ისინი ქართველ ახალგაზრდობას არ წარმოადგენენ. ქართველი ახალგაზრდობა დაქირავებული სტუდენტებით არ განისაზღვრება. ჭეშმარიტი, პატრიოტი ახალგაზრდები აქ არიან, არსად წასულან და როგორც კი საჭიროება მოითხოვს ქვეყნის დასაცავად ხმა ამოიღონ, ისევე გამოჩნდებიან როგორც 2012 წელს და მანამდე, როცა ჩვენს ეროვნულ ღირსებას — ენას, დამოკიდებლობას იცავდნენ. ვინც კოქტეილებს ისროდა, ისინი არ წარმოადგენენ იმ ახალგაზრდობის სახეს, რომლებიც ენას იცავდნენ. ამათ, გაუგებარი ორგანიზაციები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან, ქირაობენ, ფულს უხდიან. შედეგად, ეს სტუდენტები ათას უბედურებაში გასვარეს. საბედნიეროდ, ჩვენი ახალგაზრდობა მათით არ იზომება.

ჩემი თაობა და წინამდებარენიც უფრო სხვანაირი იყო. ჩვენი მშობლების თაობა თავის ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი. ამ წნეხში უფრო პატრიოტული სულისკვეთება ჩქეფდა. მაშინ სულიერი თაობა იყო და არა მატერიალიზებული. სულიერება ბევრს ნიშნავდა, რაც სხვა ფასეულობების მატარებელია. ჩვენს დროში ფული არაფერს ნიშნავდა. დღეს, სამწუხაროდ, სამყარო ძალიან მატერიალური გახდა. მე ამას ბანკირების სამყაროს ვეძახი. სულიერ ფასეულობას მატერილური მხარე ვერასდროს ჩაანაცვლებს. ადამიანს სწორედ სულიერება ავითარებს და არა ფული. ადამიანს სულიერების გარეშე არ შეუძლია.

— ქვეყნის მტრები ქაოსის შეტანას ყველა სფეროში ცდილობენ...

— მიამიტები არ ვართ, მაგრამ მაინც გვინდა, რომ ადამიანში სულიერებამ, თანადგომამ, თანაცხოვრებამ, სიკეთემ, სიყვარულმა გაიმარჯვოს. ამ ყველაფრის გარეშე ადამიანს არ შეუძლია, მაგრამ ის მეორე მხარეც არსებობს. არის ეპოქები, როცა მეორე მხარე დომინირებს და პირიქით. მეორე მხარეს პროცესები ყოველთვის ჩიხში შეჰყავს. როგორც პლატონმა თქვა: ქვეყანას ჭეშმარიტი ფილოსოფოსები უნდა მართავდნენ. დღეს ყველაფერს ბანკირები მართავენ. ამიტომ ამ მატერიალურ მხარეს დიდი ფასეულობა არ მოაქვს. ჩვენც დღეს ქვეყნების გავლენების ინტერესების სფეროში ვართ მოქცეული. მათ პატარა ქვეყნებში მორჩილი ხელისუფლება, თავისი აგენტები სურთ იყვნენ, რომელთაც ხმის ამოღების, კითხვის დასმის უფლებაც არ ექნებათ.

ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდილებიდან და მშვიდობის ინსტინქტის ქონის გამო, ეს პრობლემა მარტივად ვერ გადაწყვიტეს. საბედნიეროდ, ჩვენს ხელისუფლებაში ის ადამიანები დახვდათ, რომლებიც სამშობლოს არ ცვლიან არც თავის მდგომარეობაზე, არც ფულზე. მათი ზურგი მხოლოდ ქართველი ხალხია. ამიტომ, ისინი ხელისუფლებაში თავისი გავლენის აგენტებს ვერანაირად ვერ მოიყვანენ. ხალხი მათ დემოკრატიული არჩევნებით არ აირჩევს, ვერც რევოლუციას მოაწყობენ. არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი მოიგონეს, რათა ქვეყანაში თავისი გავლენის აგენტები ჰყავდეთ. მათ ქართველ ხალხზე ნული გავლენა აქვთ. ასე რომ, ვერაფერს შეძლებენ. ყველა გაიშიფრა, ისინი ფულზე გაყიდული სხვა ქვეყნის აგენტები არიან.

იმედია, 2024 წელს რაღაცები სიკეთისკენ შეიცვლება. დროზე უნდა მოიძებნოს პროცესების მშვიდობიან რანგში გადაყვანის გზა. ხომ ვხედავთ, რა უბედურ დღეში ჩავარდა უკრაინა იმის გამო, რომ იქ სხვა დიდ ქვეყნებს გარკვეული ინტერესები აქვთ. ფაქტობრივად, ჩვენი მსხვერპლად შეწირვაც უნდოდათ.

— ხშირად ისმის: ხელისუფლებამ დასავლურ კურსს გადაუხვიაო...

— ჩვენ დასავლეთს გეოგრაფიული მდებარეობით კი არ ვირჩევთ, არამედ ფასეულობის კრებულით, ცხოვრების წესით. დასავლეთშიც დიდმა ქრისტიანულმა კულტურამ უნდა გაიმარჯვოს. პირადად მე, დასავლური ცივილიზაციის მომხრე ვარ გენეტიკურად, ისტორიულად და ა.შ. ევროპა იმიტომ მინდა, რომ ის ფასეულობები მომწონდა და არა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა.

დღეს, იქაც ბევრი პრობლემაა. ამერიკაში, ევროპაში იქაური საზოგადოებისთვისაც პრობლემატურია ის ნარატივები, მოგონილი არაბუნებრივი პოლიტიკა, ინკლუზიური ეკონომიკა, რაც დღეს არის. ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ ადამიანებზე კონტროლი მარტივი გახადონ. ზნეობრივი, რელიგიური პარამეტრების უარყოფა ხდება. მათ არ უნდათ ზნეობრივი ადამიანების არსებობა, რადგან ისინი რთული სამართავები არიან. მათ თავისი ფილოსოფია, წითელი ხაზები აქვთ, რწმენით ცხოვრობენ. შოთა რუსთაველი რას ამბობს, ხომ გახსოვთ: უფალმა მოგვცა ქვეყანა მრავალფერითაო და არა ერთფეროვანი. დიახ, თვითონ ბუნებაა მრავალფეროვანი, ერთ მინდორზე იზრდება ათასფეროვანი ყვავილი, იქვე ამოდის სარეველაც, ბალახიც, ასეა მოწყობილი. შენ რაღაც არაბუნებრივს რომ იგონებ, ეს სიკეთეს არ მოიტანს. შენ არ ხარ სამყაროს შემქმნელი, არამედ ადამიანი ხარ. თუ ღმერთს უარყოფ, ყველაფერი კრახით დამთავრდება.

თამარ შველიძე

მაღალსიჩქარიან ტელეკომ მომსახურებებში ქართველ აბონენტებს პრემიუმ ფასის გადახდა უწევთ

კომუნიკაციების კომისიის დაკვეთით, საქართველოში ჩატარებული სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარებითი კვლევის ავტორი და Strategy Analyticს-ის კონკურენტული ფასების განყოფილების დირექტორი, ჯოზი სეფტონი, ჩატარებული ანალიზის შედეგებზე საუბრობს. მისი თქმით, საქართველოში მაღალი მოცულობისა და სიჩქარის მობილური და ფიქსირებული მომსახურებები, კვლევაში შემავალი ევროპული ქვეყნების საშუალო ფასზე მნიშვნელოვნად ძვირია: „საქართველოში მაღალი მოცულობის ან სიჩქარის

კალათები ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე ევროპაში. ეს ნიშნავს, რომ ქართველ მომხმარებლებს, რომელთაც უფრო მაღალი მოხმარების მოთხოვნები აქვთ, ევროპელებთან შედარებით საშუალოზე მაღალი ხარჯი აქვთ.“ - აცხადებს ექსპერტი.

ჯოზი სეფტონმა საუბრისას ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტისა და კომბინირებული შეთავაზებების ფასებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, სიჩქარის ზრდასთან ერთად, ფასები ძალიან მაღალი და შემზღუდველი ხდება: „საქართველოში თითქმის ყველა მომხმარებელი დაბალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტით სარგებლობს. 100 მბ/წმ-იან და უფრო სწრაფ პაკეტებს კი, აბონენტების ძალიან მცირე ნაწილი იყენებს“ - აღნიშნა მან.

ექსპერტმა საქართველოში ინტერნეტის მოხმარების ზრდის ტენდენციებზეც გაამახვილა ყურადღება და ხაზი გაუსვა, რომ როგორც ფიქსირებული, ისე მობილური ინტერნეტის მოხმარება გაზრდილია და ეს მაჩვენებელი, მომავალშიც გაიზრდება: „ვინაიდან ადამიანები

სულ უფრო მეტ დროს ატარებენ ინტერნეტში ონლაინ მონაცემების, სერვისებისა თუ კონტენტთან წვდომის მიზნით, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ მომსახურებების მიწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება“ - განაცხადა მან.

დასკვნის სახით, ჯოზი სეფტონმა საქართველოში სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მომხმარებლებისთვის არსებული მდგომარეობა შეაფასა: „ვიდრე საქართველოში მაღალი მოცულობისა და სიჩქარის მომსახურებებზე ფასები არ დაიწევს, აბონენტები იძულებულნი იქნებიან ისარგებლონ დაბალი მოცულობისა და სიჩქარის მომსახურებებით, რაც შემზღუდველია, ან, მოუწევთ გადაიხადონ პრემიუმ ფასები უფრო მაღალი სიჩქარისა და მოცულობის მისაღებად“ - აღნიშნა მან.

ხოლო, რაც შეეხება დაბალი მოცულობისა და სიჩქარის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასებს, ექსპერტის განმარტებით, საქართველოში აღნიშნული შეთავაზებები ევროპული საშუალო ფასის ანალოგიური, ან უფრო იაფია.

შეგახსენებთ, რომ ფასების შედარებით ანალიზში გამოკვეთილი შედეგების გასაუმჯობესებლად, კომუნიკაციების კომისია სატელეკომუნიკაციო ბაზრის კომპლექსური კვლევის დასრულების შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, რათა ქართველ მომხმარებლებს, ევროპელი მომხმარებლების მსგავსად, ხელმისაწვდომ ფასად შეეძლოთ მაღალი მოცულობისა და სიჩქარის ტელეკომ მომსახურებებით სარგებლობა.

აფერისტი ბანკიდან

მამუკა ხაზარაძის მისამართით როგორც კი პირველი საგანგაშო რეპლიკა გაისმა ეროვნული ბანკისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, ხაზარაძეს მისმა კეთილისმყოფელებმა, მისმა საიდუმლო მეგობრებმა და იატაკქვეშა მრჩეველებმა, ხმამაღლა მოუწოდეს, არ გაჩუმებულიყო და საზოგადოების სააშკარაოზე გამოეტანა ყველა ის საკითხი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო „თიბისი ბანკთან“ და პირადად მასთან ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირების მიზეზი.

ოპოზიციური პარტიების, მედიის, განსაკუთრებით, „რუსთავი-2“-ისა და მისი თავკაცის ნიკა გვარამიას დაჟინებული შეგონებისა და წაქეზების მიუხედავად, ხაზარაძე კარგა ხანს დუმდა, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა და ხმა ამოიღო, მაგრამ ვაი ამ ხმის ამოღებას — ხაზარაძემ მისი „დევნის“ მიზეზად ისეთი სულელური არგუმენტები დაასახელა რომ სჯობდა, ჩუმად ყოფილიყო და ჩუმად დალოდებოდა პროცესების განვითარებას.

ხაზარაძის მტკიცებით, ფულის გათეთრების (17 მილიონის) ისტორია არც არსებობს, არც მას და არც ჯაფარიძეს არანაირი კანონდარღვევა არ ჩაუდენიათ, სინამდვილეში ყველაფერი ანაკლია პორტის მშენებლობის თემას უკავშირდება, რომლის აშენების კატეგორიული მოწინააღმდეგე ყოფილა თურმე რუსეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამ საუკუნის პროექტს როგორმე მამუკა ხაზარაძე ჩამოაშოროს და პორტის მშენებლობა გაჩერდეს.

ნახეთ, რა ხდება — ხაზარაძის მიერ წარმოდგენილი ვერსიით, ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილი ბანკირი ხაზარაძე, ბანკირობიდან უცებ პოლიტიკურ ფიგურად იქცა, რომელსაც ოკუპანტი რუსეთი უპირისპირდება და ამ პატრიოტ კაცს საშუალებას არ აძლევს, მის სამშობლოს ღრმაწყლოვანი პორტი აუშენოს.

ხაზარაძე კი არა, მამუკა თავდადებული, ან მამუკა არსუკიძე უნდა ერქვას ამ კაცს...

როგორ მალავდა, როგორ არ ამბობდა ხმამაღლა, თუ რა ცეცხლი და გეენა უტრიალებდა გულში ოკუპანტი ქვეყნისგან დევნილს და შევიწროებულს, რა არნახულ ზეწოლას უძლებდა ჩუმად და უდრტვინველად, რა სასტიკ ძალებს უსწორდებოდა მარტოდმარტო, რომ პორტის მშენებლობა გადაერჩინა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა.

შეხედეთ, რა სურათი იხატება — ფინანსისტი, ბანკირი და მშენებელი მამუკა ხაზარაძე, სინამდვილეში, თურმე პოლიტიკური ფიგურა, პოლიტიკოსი ყოფილა, რომელსაც ოკუპანტ რუსეთთან აქამდე გასაიდუმლოებული სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონია. ამ ახლად გამომცხვარ პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოს ხაზარაძეს კი რუსეთი ბიძინა ივანიშვილის ხელით უპირებს თურმე განადგურებას.

ფრონტის ხაზი გავლებულია — აქეთ ოკუპანტთან მებრძოლი პროდასავლური ორიენტაციის გმირი ხაზარაძე — იქით ოკუპანტთან საიდუმლო კავშირით შეკრული „მოღალატე“ ივანიშვილი.

თქვენს შავ და თეთრ მილიონებს გაფიცებთ, ბატონო მამუკა, ვინ დაგიწერათ თქვენ ეს მზაკვრული და ფარისევლური სცენარი და ვინ გირჩიათ, პოლიტიკურს მიაწექი, პოლიტიკურს, თორემ შენი საქმე დამთავრებულიაო?!.

ამ თქვენს განცხადებას რომ ვკითხულობ, „ნაცმოძრაობის“ სუნი მცემს რაღაც და ხომ არ მეშლება, ბატონო ხაზარაძევ?

რა აზრი აქვს ასეთ ტყუილს, დღეს რომ იტყვი და ხვალ რომ საპნის ბუშტივით გასკდება?

ხაზარაძემ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ისეთი ტყუილი თქვა, მთელმა ქვეყანამ რომ იცის — ტყუილია.

ის, რის გადაბრალებასაც ხაზარაძე ახლა რუსეთისთვის ცდილობს, თავიდან ბოლომდე მამუკა ხაზარაძის და კიდევ ორი კაცის — გიორგი კვირიკაშვილის და დიმიტრი ქუმსიშვილის მაქინაციების შედეგია.

ხაზარაძე ახლა რუსეთისთვის გადაბრალებით ცდილობს გამოძვრეს იმ საგანგაშო სიტუაციიდან, რაც ანაკლია-პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით სწორედ მისი და მისი ამფსონების მაქინაციების შედეგად შეიქმნა.

გარწმუნებთ, არ გამოუვათ ხაზარაძეს, კვირიკაშვილს და ქუმსიშვილს საუკუნის პროექტის გარშემო დატრიალებული ეს საუკუნის აფიორა.

ხაზარაძისთვის ეს პირველი აფიორა არ არის.

როგორც ამბობენ, აფიორა და მაქინაციები მისი ცხოვრების სტილია და თავისი საბანკო და საფინანსო მოღვაწეობის მანძილზე მას არაერთხელ გადაუხვევია კანონისა და სამართალისთვის.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახლო ხანებში იმდენი მომჩივანი გაუჩნდება ხაზარაძეს, იმდენი მის მიერ დაჩაგრული ადამიანი გამოჩნდება, გაგიკვირდებათ, აქამდე რატომ არ მიაკითხა სამართალმა ამ ზნემრუდე კაცს?

— აქამდე „თიბისი ბანკი“ იდგა ქართველი ხალხის გვერდით, ახლა დროა, ქართველი ხალხი დადგეს „თიბისი ბანკის“ გვერდით. — განაცხადა აწ უკვე პოლიტიკაში შემოჭრილმა ხაზარაძემ.

უყურე შენ, ქართველ ხალს „თიბისი ბანკის“ ვალი ჰქონია თურმე, ახლა კი ამ ვალის გადახდის დრო დამდგარა.

ვერ გეტყვით, რას უწოდებს ბატონი მამუკა „თიბისი ბანკის“ მხრიდან ქართველი ხალხის გვერდით დგომას.

იმას ხომ არა, „უბორნიის პოეტებს“ და ლიტერატურულ ჩუკენობაში დაოსტატებულ პლაგიატებს პრემიებს რომ ურიგებდა?

თუ ვინმეს აქვს თქვენი ვალი, აი, მაგათ აქვთ და მოსთხოვეთ, უკან დაგიბრუნონ, ქართველ ხალხს კი თქვენს აფერისტობებსა და მაქინაციებში ნუ გარევთ!

თქვენს შავ და თეთრ მილიონებს გაფიცებთ, ბატონო მამუკა, ვინ დაგიწერათ თქვენ ეს მზაკვრული და ფარისევლური სცენარი და ვინ გირჩიათ, პოლიტიკურს მიაწექი, პოლიტიკურს, თორემ შენი საქმე დამთავრებულიაო?!.

ვახტანგ ხარჩილავა
„ს.გ“ N5. 2019 წ.

მსოფლიოში პოლიტიკური სანახაობები გრძელდება...

მიუნხენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც, ტრადიციულად, თებერვლის შუა რიცხვებში იმართება, ნელ-ნელა კარგავს თავის დანიშნულებას. ცივი ომის დროს დაფუძნებული საერთაშორისო კონფერენციის მიზანი იყო, ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება დიალოგით მოგვარებულიყო. მართალია, გასული საუკუნის 60-70-იან წლებშიც იყო მცირე თუ ფართომასშტაბიანი ომები, მაგრამ მაშინდელი პოლიტიკოსები მოლაპარაკებებზე უარს არ ამბობდნენ.

ფაქტია, რომ ბოლო სამი წელია, მიუნხენის კონფერენციამ პოზიციები დათმო. არც წლევანდელი წელია გამონაკლისი. ამის მთავარი მიზეზი მსოფლიოს მოქმედი პოლიტიკოსების გულგრილობაა. სამწუხაროდ, მათ ნაკლებად აინტერესებთ ომების შეჩერება, ძირითადი აქცენტი ცალკეული ქვეყნებისთვის შეიარაღების მიწოდებაზე აქვთ გადატანილი.

მიუნხენის წლევანდელ შეკრებას წამყვანი ქვეყნების ბევრი ლიდერი არ ესწრებოდა. ამერიკის შეერთებული შტატებიდან კონფერენციას ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი და სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ესწრებოდნენ. თავად პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა რატომ თქვა უარი გერმანიაში ჩასვლაზე, უცნობია. სავარაუდოდ, მან საჭიროდ არ ჩათვალა ევროპაში ვიზიტი, ან ჯანმრთელობამ შეუშალა ხელი. სამაგიეროდ, მიუნხენში იმყოფებოდნენ პენსიონერი პოლიტიკოსები — კონგრესის ყოფილი სპიკერი ნენსი პელოსი და ასევე ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. თუმცა, მათთვის ტრიბუნა არ დაუთმიათ. ჰარისმა კი, ძირითადად, თავისი ქვეყნის პოლიტიკაზე ისაუბრა, ასევე, განაცხადა, რომ უკრაინისთვის დახმარებას კვლავ გააგრძელებენ.

კონფერენციაზე, ძირითადად, რუსეთ-უკრაინის ომზე საუბრობდნენ. განიხილავდნენ, როგორ დაამარცხონ რუსეთი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა: „...იმის წარმოდგენაც კი მძიმეა, რა მოხდება რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში“. მხოლოდ ჩეხეთის პრეზიდენტმა აღუთქვა უკრაინას ჭურვების მიწოდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მათ ტრანსპორტირებას პარტნიორი ქვეყნები დააფინანსებენ.

შეიარაღების დეფიციტს განიცდის ბრძოლის ველზე უკრაინის არმია. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები. დაფინანსებისა და შეიარაღების თხოვნის მიზნით იმყოფებოდა საფრანგეთსა და გერმანიაში უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი. საინტერესოა, რომ გასულ კვირას, 13-14 თებერვალს დაგეგმილი იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის კიევში ჩასვლა, მაგრამ უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მან ვიზიტი გადადო. გავრცელებული ინფორმაციით, თურმე მაკრონზე თავდასხმა იგეგმებოდა. ვინ იყო დაინტერესებული მაკრონის კიევში ლიკვიდაციით, ვის აწყობდა მისი მოკვლა, დღემდე უცნობია. ცნობილი გახდა, რომ მაკრონი ახლო მომავალში მაინც აპირებს უკრაინაში ჩასვლას.

უშედეგოდ არ დასრულდა ზელენსკის ვოიაჟი საფრანგეთსა და გერმანიაში. უკრაინამ ორივე ქვეყანასთან უსაფრთხოების გარანტიებზე ხელშეკრულება გააფორმა. ორივე ქვეყანა კონსულტაციებს გაუწევს უკრაინას, მაგრამ ჯარით არ დაეხმარებიან. „...ჩვენ არ გვჭირდება ნატო-რუსეთის ომი“, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა მიუნხენში. სამაგიეროდ, საფრანგეთი 4 მლრდ ევროს გამოყოფს უკრაინისთვის, გერმანია კი 7 მლრდ ევროს გარდა, დამატებით 1,1 მლრდ ევროს გადასცემს. დახმარების სანაცვლოდ ზელენსკის გარკვეული პირობების (კორუფციასთან ბრძოლა, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და ა. შ.) შესრულება მოუწევს.

გასულ კვირას, მიუნხენის კონფერენციის დაწყებამდე აშშ-ის სენატში ხუთსაათიანი დებატების შემდეგ მიიღეს ისრაელის, უკრაინისა და ტაივანისთვის დახმარების პაკეტი 95 მლრდ დოლარის ოდენობით. აქედან 61 მლრდ უკრაინისთვის არის განკუთვნილი. კანონპროექტი დასამტკიცებლად კონგრესში გადაგზავნეს, მაგრამ სპიკერმა მაიკ ჯონსონმა განხილვაზეც კი უარი განაცხადა, რადგან პაკეტში გათვალისწინებული არ არის საზღვრის დაცვის ხარჯები. უფრო მეტიც, ჯონსონმა კონგრესმენები თებერვლის ბოლომდე არდადეგებზე დაითხოვა. აქედან გამომდინარე, უკრაინა თანხების გარეშე, მინიმუმ, მარტის შუა რიცხვებამდე დარჩება, მაშინაც კი, თუ კონგრესმა სენატის მიერ მიღებული პაკეტი დაამტკიცა.

განაწყენებული ზელენსკი მიუნხენში დაიმუქრა, რომ თუ კონგრესი დახმარებაზე უარს ეტყვის, უკრაინა აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად აღარ განიხილავს. მისმა თავხედურმა განაცხადებამ გააოცა დამსწრე საზოგადოება, მოგვიანებით ზელენსკი იძულებული გახდა, ტონი შეერბილებინა.

კონფერენციის მსვლელობისას ცნობილი გახდა, რომ უკრაინის ჯარების ახალდანიშნულმა სარდალმა სირსკიმ, რომელმაც ზალუჟნი ჩაანაცვლა, ავდეევკიდან ჯარების გაყვანის ბრძანება გასცა. ზელენსკიმ განაცხადა, რომ სარდალმა მასთან შეთანხმებით გასცა აღნიშნული ბრძანება, რათა სამხედროების სიცოცხლე შეენარჩუნებინათ და იქვე დასავლეთი დაადანაშაულა, არასათანადო დახმარების გამო გავხდით იძულებული, უკან დაგვეხიაო.

უკან დახევის შესახებ ზელენკიმ ტელეფონით აუწყა ჯო ბაიდენს, რომელმაც უკრაინის წარუმატებლობა კონგრესს დაუბრალა: „...დახმარების პაკეტის დამტკიცების ნაცვლად არდადეგებზე წავიდნენ... თუ უკრაინელებს დროულად არ დავეხმარებით, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა ქალაქებსაც დაკარგავენ“, — განაცხადა ბაიდენმა. ამერიკელი სამხედრო ექსპერტების შეფასებით, ავდეევკის დაკარგვა ბაიდენის ადმინისტრაციისთვის დიდი დარტყმაა. ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, „...ნატო-ს შეიარაღება რუსეთისაზე გაცილებით ძლიერია, მაგრამ ალიანსშიც გვაქვს გარკვეული პრობლემები“. კულუარულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ (სავარაუდოდ, გაზაფხულზე), სტოლტენბერგი უკრაინაში სპეცწარმომადგენლად დაინიშნება, რომელიც ხელისუფლების საქმიანობას გააკონტროლებს. ვინ დაიკავებს მის ადგილს, უცნობია.

კრიტიკული სიტუაციაა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელმა „ჰამასთან“ ყოველგვარი მოლაპარაკება შეწყვიტა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ღაზას სექტორის სამხრეთში, ქალაქ რაფახზე ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაციის დაწყებას გეგმავს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მილიონზე მეტი დევნილია. ექსპერტების შეფასებით, შეტევის შემთხვევაში დიდი რაოდენობით მსხვერპლი იქნება. ეგვიპტემ, რომელსაც ქალაქი რაფახი ესაზღვრება, უკვე დაიწყო საზღვრების გამაგრება. ისრაელის არმია, ასევე, უტევს ლიბანის ტერიტორიაზე დაჯგურება „ჰეზბოლას“ მებრძოლებს. „ჰეზბოლას“ ლიდერი ჰასან ნასრალა კვლავ დაემუქრა ისრაელს, თუ ლიბანის ტერიტორიებზე შეტევებს განაგრძობენ, შესაძლოა, კონფლიქტი ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს.

არასტაბილური ვითარებაა აშშ-შიც. ტეხასის შტატში სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყო, სადაც ორი ათასამდე საზღვრის დამცველი სამხედრო განთავსდება.

ნიუ-იორკის სასამართლომ დონალდ ტრამპი დამნაშავედ ცნო საბანკო-საფინანსო დარღვევებში და 350 მლნ დოლარი ჯარიმა დააკისრა, ასევე, აუკრძალა შტატის ფარგლებში საქმიანობა. ტრამპმა განაჩენს „კუდიანებზე ნადირობა“ უწოდა. სამაგიეროდ, ტრამპს მხარდაჭერა გამოუცხადეს სატვირთო მანქანების მძღოლებმა, რომლებმაც დაიწყეს ქალაქის ბლოკირება — ისინი ნიუ-იორკში ტვირთებს აღარ შეიტანენ.

გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჟურნალისტის შეკითხვაზე, ვინ გირჩევნიათ, გახდეს აშშ-ის პრეზიდენტიო, უპასუხა, ბაიდენიო, რისთვისაც ტრამპის მადლობა დაიმსახურა. „ჩემთვის კომპლიმენტი იყო მისი ნათქვამი“, — განაცხადა ტრამპმა. თურმე, ზოგჯერ პოლიტიკოსებიც ხუმრობენ. მთავარია, ხალხს ძვირად არ დაუჯდეს მათი იუმორი.

გია ბურდული

„ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოს“

დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმაა — ჩერჩილის ამ გამონათქვამით იმიტომ დავიწყე ეს წერილი, რომ ჩერჩილი საპარლამენტო დემოკრატიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქვეყნის შვილი იყო და სხვაზე მეტად დაეჯერება, რაც დემოკრატიაზე თქვა. ლორდი იყო, ბოლოსდაბოლოს, (ისეთი კი არა, ელტონ ჯონი რომ არის) ჩერჩილს მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული რაინდის ტიტული. მოკლედ, მე ვფიქრობ, მას ყველაზე მეტად დაეჯერება, მით უმეტეს ჩვენში, სადაც ევროპელ მაღალჩინოსნებს პიტალო სიბრიყვესაც კი სიბრძნედ უთვლიან. ასე რომ არ იყოს, ჩერჩილისას კი არა, ილია ჭავჭავაძის ნათქვამს გამოვიტანდი სათაურად, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებს ეხება სწორედ! როდის თქვა, იცით? როდესაც მისივე ინიციატივით დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკის მმართველის არჩევნებში ვერ გაიმარჯვა და წააგო, ვისთან, თუ იცით? ივანე მაჩაბელთან, რომელმაც საბანკო საქმე და, საერთოდ, რაიმე საქმის მართვა ისე იცოდა, როგორც ბებიაჩემმა, სონა გელაშვილმა ჩინური ენის გრამატიკა, რატომ წააგო ამ ჭკუით გაპენტილმა კაცმა არჩევნები ინგლისური ლიტერატურის დიდებულ მთარგმნელ, მაგრამ საბანკო საქმის სრულიად უცოდინარ ივანე მაჩაბელთან? იმიტომ, რომ მაჩაბელი ქართლელი იყო, ილია კი კახელი, ხოლო სათავადაზნაურო კრებაზე ქართლელები ბევრად მეტნი იყვნენ კახელებზე. სხვათა შორის, ამ კრებაზე ინციდენტიც მოხდა: ერთმა ქართლელმა თავადმა მისცა ხმა ილიას და ქართლელმა თავადებმა კინაღამ ჩაქოლეს, კახელს რატომ მიეცი ხმაო, აი, მაშინ თქვა ილიამ: **ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოსო**!

ჭეშმარიტად, ილია ჭავჭავაძის ერთი ხმა და ვიღაც ჯოხიტლეკიაშვილის ერთი ხმა ერთნაირი წონისაა? მეტი არაა ჩვენი მტერი,. ამაზე ერთი კარგი პასაჟი აქვს გურამ დოჩანაშვილს მოთხრობაში„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“: „მათემატიკა ზუსტი მეცნიერება არ არის. რატომ, თუ იცი? იმიტომ, რომ იქიდან თუ მოდიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა, აქედან კი ვინმე სხვა სამი კაცი, მათემატიკოსი იტყვის მომავალი და მიმავალი ადამიანების რაოდენობა ტოლიაო“. აი, რეალურად ასეა საქმე, სინამდვილეში, ანუ შინაარსობრივად იქიდან მომავალი სამი კაცი — ილია, აკაკი და ვაჟა, ჭკუა გონებითა თუ უნარ-შესაძლებლობებით რატომ ათასებსაც კი არ გადააჭარბებს.

დემოკრატია ვინც მოიგონა და დაამკვიდრა, კარგად იცოდა, ალბათ, რომ ერთ სოფელსა თუ ქალაქში ჭკვიანი, ანუ ჭკუის საკითხავი კაცების რაოდენობა ათჯერ, თუ ასჯერ არა, ნაკლები იყო ნაკლები ჭკუისა თუ სულაც სულელ კაცებზე, მაგრამ იფიქრა: რამდენიმე ჭკვიან კაცს რომ მივანდოთ მთავრობის არჩევა, ვაი თუ, შეცდეს ის რამდენიმე კაცი და რა გვეშველებაო. მაშინ, მოდი, მთელ ხალხს ვკითხოთ, ამოდენა მილეთის ხალხი ხომ არ შეცდებაო! „დათა თუთაშხიაში” რომ ასინეთაა, იმის ლოგიკაა ეს: ორი კაცი რომ მოისმენს და გაიგებს, ერთი კაცი მოისმენს და გაიგებს ისე?! ეს ლოგიკაა. არადა, ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შესახებ ფსიქოლოგიას უტყუარად აქვს დასაბუთებული, რომ მილიონი საშუალო ნიჭის ადამიანის კოლექტიური გონებრივი შესაძლებლობები ერთი გენიოსის ინტელექტს არანარი საზომით არ უთანაბრდება. მეტიც მილიონი საშუალო ნიჭის ჯამი ერთი საშუალო ნიჭის ტოლია!

ჭკვიანი კაცი იყო კარდინალი რიშელიე: ერთი კაცის ჭკუას ორი კაცის ჭკუა სჯობია, სამი კაცი ჭკუა ორი კაცის ჭკუაზე უკეთესია, მაგრამ ასი კაცის ჭკუა ერთი ვირის ჭკუაზე ნაკლებიაო, — ასე თქვა სწორედ.

ისე, ჩემს ახალგაზრდობაში არც ჩერჩილის გამონათქვამი მეგონა გონივრული, არც კარდინალ რიშელიეს ნათქვამი ჩამითვლია სერიოზულ ნააზრევად და თვით ილიას ზემო აღნიშნული მოსაზრება გაბრაზებული კაცის ნათქვამად მივიჩნიე, მაგრამ მას შემდეგ, რაც დემოკრატია აყვავდა ჩვენში, ვისაც ცოტა ჭკუა მაინც მოეკითხება, ყველა დარწმუნდა იმ ცხონებული სამი დიდი კაცის ნააზრევის ჭეშმარიტებაში.

საქართველო საბჭოთა წყობილების პერიოდში ექსპერიმენტების რესპუბლიკად მიიჩნეოდა და არც თუ ისე უსაფუძვლოდ. ჩვენში მმართველობის დემოკრატიული ფორმის შემოღებაც ერთგვარ ექსპერიმენტად მიმაჩნია, რადგან ამიერ თუ იმიერკავკასიელი ხალხებისათვის ჩვენი მაგალითი რაღაც-რაღაცების შესახებ ადეკვატურ წარმოდგენებს შექმნის და, მე მგონია, შექმნა კიდევაც, მარტო ის რად ღირს, რომ დემოკრატიულად არჩეული პარტიებს, „გირჩის” წევრებმა და მისმა ლიდერებმა, როგორ „ეფექტიანად” გააპროტესტეს რუსეთის პოლიტიკა სეპარატისტული ე. წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან, არ დაიჯერებთ, მაგრამ მათ ნამდვილად ჩაიხადეს შარვლები და შიშველი საჯდომები მიუშვირეს საზღვრის იქით მდგომ მესაზღვრეებს. როგორც ამბობენ, მესაზღვრეთა რაზმის მეთაურს უკითხავს, ვინ არიან ეს ტ....ო, ქართული საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები არიანო, — უთქვამთ. იმ მეთაურს აღარ დაუკონკრეტებია თავისი ცოდნა ამ პარტიის შესახებ და არც მისი თავმჯდომარის ზურაბ (ვავა, ბაბა, ვავა!) გირჩის ვინაობა!

რა თქმა უნდა, ჩვენმა ხალხმაც კარგად დაინახა, რა არის ეს დემოკრატია, რომელიც ასე ნაქები ევროპელი გონების პროდუქტია. ჩვენ გამოუცდელი ხალხი ვართ ამ საქმეში, მაგრამ ერთობ გამოცდილ დასავლეთელებს ხომ უნდა დავუჯეროთ! ჰო, და, იმ დიდი გამოცდილების მქონე დიდი ქვეყნის პრეზიდენტმა აკი გვითხრა, თქვენი პრეზიდენტი მიშიკო დემოკრატიის შუქურააო. ჩვენს თანამემამულეთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც უცხოელის ნათქვამი სიბრიყვეც კი დიდ სიბრძნედ მიაჩნია, დაიჯერა, რომ, როგორც იქნა, დემოკრატია გვეღირსა. ახლა ერთი დიდი მოლოდინი აქვთ კორბოულელ თუ ბოდბელ, ნებოძირელ თუ დილიკაურელ, ომალოელ თუ საჭამიასერელ, სასირეთელ თუ ხაბუმელ გლეხებს, ახლა იმის საბუთიც თუ მოგვცა დასავლეთმა, რომ თქვენც ისეთივე ევროპელები ვართ, როგორც ესპანელები თუ ჰოლანდიელები, დანიელები თუ ფინელები, მერე გვეღირსება ნამდვილი თავისუფლება, ისეთი, როგორიც შვედებსა თუ ფრანგებს, ჩეხებსა თუ ლიეტუველებს აქვთ, სადაც ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, უნდა რგოლს გაიყრის ცხვირში და სურს, სქესს შეიცვლის. აბა, ის არის საქმე, კაცად (თუ ბიჭად!) თუ დაიბადე, მთელი ცხოვრება კაცად უნდა გაატარო, ან ქალად თუ გაჩნდი, სიცოცხლის ბოლომდე ქალად რომ უნდა დარჩე. იქნებ, მეც მინდა, ცოლი მოვიყვანო (ქალი ფიქრობს!), ან გავთხოვდე (კაცი ფიქრობს!), რად უნდა მიშლიდეს ხელს ამ საქმეში ეს ოხერ თანდაყოლილი სქესი? ადამიანი ხომ თავისუფლებისთვის არის გაჩენილიო. განა სიცრუეა ეს?

აი, ამ აზრებს აღუძრავს „დემოკრატიული თავისუფლება” კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელსაც ღვთის მონიჭებული შემეცნების უნარის მწვავე დეფიციტი აქვს. ასეთები კი დიდი უმრავლესობაა ნებისმიერ საზოგადოებაში. სწორედ მათი ინტელექტის მართვისა და მოწესრიგების აუცილებლობის გამო შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ფუნქციაა, მორალური კოდექსისა და სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებში მოაქციოს საზოგადოების უჭკუო და ჭკვიანი ნაწილი, რათა ყველა ადამიანმა იგრძნოს ნამდვილი პიროვნული თავისუფლება და საკუთარი ღირსების გრძნობა. მრავალი საუკუნის წინ მიაკვლია კაცობრიობამ იმ ჭეშმარიტებას, რომ თავისუფლება არის ობიექტური აუცილებლობა, მოთხოვნისადმი დამორჩილება. დემოკრატია (ახლანდელი გაგებით!) კი ვერ უზრუნველყოფს ამას.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს ქვეყნის მეფე იყო თუ დიქტატორი, ბელადი თუ სხვა ლიდერი, არავის არაფერს ეკითხებოდა და ისე იღებდა საქვეყნო გადაწყვეტილებებს. არა, ბატონებო, არა! ყველა ქვეყანაში, მეფესთან თუ ქვეყნის სხვა ლიდერებთან ფუნქციონირებდა ჭკუის საკითხავ კაცთა საკრებულოები, ან მსგავსი სტრუქტურები. ქართველ მეფეებსაც ჰყავდათ მრავალრიცხოვანი მრჩევლები, რომლებიც სწავლულ კაცთა საბჭოებისა თუ კომისიების სახით არსებობდნენ, სწავლულ კაცთა და არა უსწავლელ და უვიცთა საბჭოები თუ კომისიები!

მერე და, ეს სწავლული კაცები (ანუ ჭკვიანი კაცები!) საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენდნენ ან მაშინ და ან ახლა? ამიტომ, უმრავლესობის ნება ჭკვიანური როგორ იქნებოდა მაშინ ან ახლა, მაცოდინა, ნეტავი!

კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის დროს რაიკომის პირველი მდივნის ხელფასი 350-450 მანეთი იყო (რაიონის ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით). რაიკომის

ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი
(ორიგინალ ფოტოზე ივანეს ძმა - ვასო მაჩაბელია აღბეჭდილი)

პირველი მდივანი რაიონის მმართველი გახლდით. მე თბილისის ერთ-ერთი ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ვიყავი და ლექციებსაც ვკითხულობდი ხუთ ჯგუფში. ჩემი თანამდებობრივი ხელფასი და ლექციების საათობრივი ანაზღაურება 300 მანეთზე მეტი იყო. მაშინ მინისტრის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასს 3-ჯერ მეტად არ აღემატებოდა. ახლა ამ უვიცი და უზნეო დეპუტატების ხელფასი ჩემს პენსიას 22-ჯერ აღემატება. მე მათი კი არ მშურს, დემოკრატიული მმართველობის ხელში „გაბედნიერებული” ქვეყანა მებრალება.

რჩეული დეპუტატებით კი არა, მოწვეული ჭკვიანი კაცებით რომ დაეკომპლექტებინათ ხელისუფლების ორგანოები, სრულიად სხვა რეალობაში ვიცხოვრებდით მაშინ, რადგან განათლებულ კაცებს გეოგრაფიაც ეცოდინებოდათ, ისტორიაც, დიდიც და პატარაც და იმათ, ვინც „შინ” ევროპაში მინდა, დავბრუნდეო, — იტყოდა, უფასო ფსიქიატრიულ მკურნალობას დაუნიშნავდნენ.

ეს ასეა, მაგრამ, ჩვენსავე პრაქტიკულ ცხოვრებაში როგორ რეალობას ქმნის „დემოკრატიული შუქურებით” განათებული მართვის სისტემა?”

საყოველთაო არჩევნებით შერჩეული „რჩეულები”, რომლებიც არც ჭკუით, არც ცოდნით და არც ზნეობით არ გამოირჩევიან, რა თქმა უნდა, არც მაღალი ეროვნული იდეალებითა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით არიან გამოირჩეულნი, ამიტომ ისინი საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებებით მოქმედებენ. საკუთარი კომფორტია მათი იდეალი.

დემოკრატიისათვის არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიც არის „სამშობლო”, ამიტომ წამოაყენეს „უკვდავი ლოზუნგი” ნეოლიბერალმა დემოკრატებმა XX საუკუნეში — „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!”-ო. მაშინ ერთმა ქართველმა ნეოდემოკრატმა კი ამოილუღლუღა: კი, მარა, „საქართველოში შეერთდით”-ო, ის კი არ უთქვამს ჩვენს ბელადსო! ვინ დაუგდო მაშინ ყური იმ კაცს. ახლა ეს ლოზუნგი ისე ჩქაროსნულად ხორციელდება ევროპაში, რომ მისი „სიკეთე” იმ თავდადებულმა ნეოლიბერალებმაც კი გაიგეს, რომლებიც ამ ასი წლის წინათ ნატრობდნენ: ნეტავი, ლენინ-ტროცკის მსოფლიო რევოლუციის ხმა ჩვენს მამულშიც გაგვაგონაო.

ჰოდა,„გიხაროდენ!” ჭკუა-გონებითა და ზნეობრივად გაღლეტილები ყველა ქვეყნისა, ერთიანდებიან!

აი, კაცს რომ რძლად მოგიყვანს შენი ვაჟი და ქალიშვილი სიძედ რომ წარმოგიდგენს საყურეებიან და პომადით „მოკრასკულ” ძუძუებ-მოშიშვლებულ ქალს, ე, მაშინ იძახე „ვივა, დემოკრატია, ვავა ჩემო ოჯახოო!”.

გინდათ ეს?

არჩევანი თქვენზეა!

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი

საქართველო „ვეფხისტყაოსანმა“ შექმნა

დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. **„ნონფიქშენის“** სახელით ფეხმოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი საზოგადოებრივ ჟღერადობას იძენს. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, რაფიელ დანიბეგაშვილიდან და გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული. „ნონფიქშენის“ ძირები იძებნება პლატონის დიალოგებსა და ჯუმბერ თითმერიას ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტილკას მისდევს გური ოტობაიას მონუმენტური ხუთწიგნეული „შეუთავსებელთა შეთავსებაც“. ახალი რუბრიკის პირველი ავტორების, მწერალ — დავით შემოქმედელისა და პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო საუბარი, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბაასია ჩვენი ყოფიერების საჭირბოროტო საკითხებზე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენს პერიოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტის ტანდემური მარათონული სტუმრიანობა.

თამარ ბერძენიშვილი



დასაწყისი იხ. „სგ“. N5

გ.გ. — ისრაელის დელეგაციაში მეც ვიყავი. ღირს ამ თემაზე ცალკე საუბარი... ეს ყველაფერი კარგი... ახლა ისა ვთქვათ, რა მდგომარეობაა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის კუთხით საქართველოსა და უცხოეთში; ამ საქმეს დიდი ტრადიცია აქვს და დღეს რა ხდება? როგორ გესახებათ ამ საქმის პერსპექტივა და რუსთაველის საზოგადოების როლი?

დ.შ. — დღეს უცხოეთში ასეთი ტენდენციაა: ადამიანები ნაკლებად ინტერესდებიან სხვა ქვეყნების შუა საუკუნეების მწერალთა მხატვრული სამყაროთი, მათი ესთეტიკით, მაგრამ გატაცებული არიან იმ პერიოდის სიბრძნით, ფილოსოფოსებით, იმ ეპოქის ცოდნით. „ვეფხისტყაოსანში“ ეგ ყველაფერია. ამიტომ, როცა უცხოეთში გაგვაქვს რუსთაველი და ჩვენი მიზანია მათი დაინტერესება, ჯერ ის უნდა მივაწოდოთ, როგორც მოაზროვნე, როგორც ადრეული რენესანსული მსოფლმხედველობის მქონე მოაზროვნე. ამის შემდგომ პოემის ტექსტთანაც ბუნებრივად მივლენ და დაინტერესდებიან მწერლითაც. სწორედ ამ მიზნით გამოვეცი უცხოეთში თქვენ მიერ დასახელებული წიგნი — „ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ლიტერატურის შედევრი“. სიტყვამ მოიტანა და აქვე გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ უცხოეთში ჩვენი დიდი ქართველოლოგიური ცენტრების საქმიანობა მილევად რეჟიმშია. ქართულმა სახელმწიფომ მათ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს, იქნება ეს ფინანსური ინექცია თუ სხვა. ეს საქმე აუცილებელია, რათა არ ჩაქრეს ქართული კულტურის მაცოცხლებელი კერები საზღვარგარეთ. ჩვენ გვაქვს უცხოელ აღიარებულ კორიფეებთან (ლუიჯი მაგაროტო, დონალდ რეიფილდი, Bერნარდ უტიე, სალი ნეველი, ბერტ ბეინენი, ლინ კოფინი და სხვები) კონტაქტები, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის შეცვლაა ამ კუთხით საჭირო. უცხოეთში ქართველოლოგიური კვლევების ტრადიციას გაგრძელება სჭირდება. ამ მიმართულებით მომავალი თაობის ინტერესის გაღვივებას უნდა ვეცადოთ.

გ.გ. — ჩვენთან, საქართველოში?

დ.შ. — რაც შეხება საქართველოს, თუ როგორ დგას პოპულარიზაციის საქმე, ვთქვათ, როგორ იციან ახალგაზრდებმა „ვეფხისტყაოსანი“, ეს ალბათ ყველაზე უკეთ თქვენ იცით; თქვენი, როგორც რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარის, იდეა იყო, თქვენ მიერვე შედგენილი კითხვარების საშუალებით თბილისის საჯარო სკოლებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოგვეკვლია, თუ როგორ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ „ვეფხისტყაოსანი“. მიუხედავად იმისა, რომ მარტივი კითხვები იყო შერჩეული, შედეგები შემაშფოთებელი გახლდათ: მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრული უვიცობა გამოავლინა... განათლების სისტემაში რადიკალურად შესაცვლელი და გამოსასწორებელია მდგომარეობა. სხვა მხრივაც მინდა შევხედო საკითხს. „ვეფხისტყაოსნის“ ზედმეტ საკრალიზებას, ლამის მითოლოგიზებას თავისი უარყოფითი მხარე აქვს, კერძოდ ის, რომ ჩვენ მას ქვემოდან შევყურებთ, შემოვდეთ ისეთი სიმაღლის თაროზე, რომ ამჟამად ვეღარ ვწვდებით. ამით ჩვენ ის წაუკითხაობისათვის გავიმეტეთ, მკვდარ წიგნად ვაქციეთ. სინამდვილეში ის ცოცხალზე უფრო ცოცხალი წიგნია. გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, აღმოჩნდება, ასი კაციდან ერთ-ორს თუ ექნება ბოლომდე წაკითხული „ვეფხისტყაოსანი“...

გ.გ. — გვინდა — არ გვინდა, მაინც სკოლასა და განათლებასთან მივდივართ...

დ.შ. — არაა გასაკვირი. ხშირად ვიმეორებთ აკაკის ნათქვამს: „ჩვენი ბედისწერა განათლებაზე არისო დამოკიდებული“... დავუბრუნდეთ შეწყვეტილ საუბარს.

გ.გ. იმასაც ვწერდი, რომ ამ ამ მწვავე საკითხის სათავე, ერთი მხრივ, სკოლაა და, მეორე მხრივ, ეროვნული გამოცდები-მეთქი... მთავარი პრობლემა მაინც სასკოლო განათლებაა... იმის აღნიშვნაც არ იქნება უადგილო, რომ ამ ჩვენს კვლევებს გარკვეულწილად დაემყარა „სახელმწიფო ენის სტრატეგია“, რომელიც მთავრობამ 2022 წელს დაამტკიცა. დიახ, ასე ჩაიწერა სამთავრობო დოკუმენტში: „სტრატეგიაზე მუშაობისას გაანალიზებულ იქნა რუსთაველის საზოგადოების მიერ ჩატარებული მოკვლევის მასალები, რომლებიც ცხადად აჩვენებენ საუნივერსიტეტო საფეხურზე ქართული ენის ფლობისა და წიგნიერების დაბალ დონეს“; თუ არ გადავღლით მკითხველს, მოკლედ წარმოვადგენ კვლევის შედეგებს:...

დ.შ. — მგონი, საჭიროცაა ამ შემაშფოთებელი მასალის გასაჯაროება.

გ.გ. — გამოკითხვა ჩავატარეთ ორი გამორჩეული სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სპეციალობებზე. პირველკურსელ სტუდენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში კითხვარი შევთავაზეთ.

დ.შ. — ისიც განვმარტოთ, პირველკურსელებში რატომ ჩატარდა ეს გამოკითხვა?

გ.გ. — პირველკურსელებთან იმიტომ მოვისურვეთ გასაუბრება, რომ სულ რაღაც ორიოდე თვით ადრე მათ გადალახეს ორი სერიოზული ბარიერი ამ საგანში ცოდნის შემოწმებისა: სკოლის გამოსაშვები გამოცდები და ეროვნული გამოცდები; ფაქტია, მათ წარმატებით დაძლიეს ეს ბარიერები და ჩაირიცხნენ პრესტიჟული უნივერსიტეტების პრესტიჟულ სპეციალობებზე... ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ, წესით, მათი ცოდნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სხვაუმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე უკეთესი უნდა იყოს... ვიტყვი იმასაც, რომ ამ გამოკითხვის შედეგები თავის დროზე გავაცანით საზოგადოებას – ამის თაობაზე რამდენჯერმე სატელევიზიო გადაცემაში ვისაუბრეთ, დავბეჭდეთ წერილები, მასალები მივაწოდეთ განათლების სამინისტროსაც, შევხვდით დარგობრივ მინისტრს... თუმცა... ჩემი ღრმა რწმენით, ვითარება დღითი დღე უარესდება...

დ.შ. — უფრო ცხადი წარმოდგენა რომ შევუქმნათ მკითხველს, ეგების უფრო კონკრეტული მაგალითები მოგვეყვანა.

გ.გ. — კეთილი. ვთქვით: გამოკითხვის შედეგები იყო სავალალო (ალბათ უმჯობესი იქნებოდა, გვეხმარა სიტყვა „კატასტროფული“). ქართულ ენაში სამი სახის კითხვა დავსვით: 1. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სახელი? 2. რომელ რიცხვშია ხაზგასმული სიტყვა? 3. რომელ მწკრივშია საზგასმული ზმნა? სტუდენტებს მიეცათ ამ ტიპის 16 შეკითხვა. ქართულ ლიტერატურაში დასმული კითხვები ასეთი იყო: 1. რომელი ნაწარმოებიდან არის ეს ციტატა? 2. დაასრულე სტროფი. 3. სად ხდება მოქმედება ამ ნაწარმოებში, რომელ მხარეში...? 4. რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია...? 5. „ვეფხისტყაოსნიდან“: რომელი ქვეყნიდან არის ეს პერსონაჟი...? რომელი პერსონაჟი ამბობს ამას? ამ ნაწილში 25 შეკითხვა დავსვით... შევეცადეთ კითხვები ყოფილიყო იოლად ამოსაცნობი... სულ გამოვკითხეთ 151 პირველკურსელი. ქართულ ენაში დასმულ კითხვებზე სწორი პასუხი გასცა 40%-მა; (ვერ ამოიცნეს სწორად: სახელის ბრუნვა 54%-მა, სახელის რიცხვი 36%-მა, ზმნის მწკრივი 90%-მა)...ქართული ლიტერატურის კითხვებს სწორად უპასუხა 55%-მა. ისეთ კითხვაზე, მაგალითად, როგორიცაა „რომელი საუკუნის ლიტერატურული ძეგლია ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“? ვერ უპასუხა 43%-მა. უცნაური ის არის, რომ დასახელდა მე-7-დან მე-20 საუკუნის ჩათვლით ყველა საუკუნე!.. დამეთანხმებით, უმძიმესი შედეგია...

დ. შ. — ნამდვილად არასახარბიელო სურათია... ისიც ხომ ფაქტია, სტუდენტთა უმრავლესობა რეპეტიტორებთან შეძენილი ცოდნით მოდის უნივერსიტეტში...

გ.გ. — ამიტომაც მსგავსი კვლევა სექტემბერში (სანამ რეპეტიტორთა ინსტიტუტი „ამუშავდებოდა“) სკოლებშიც ჩავატარეთ. როგორც მოველოდით, შედეგები უარესი იყო...

დ.შ. — ზემოთ თქვით, რომ პრობლემა ეროვნული გამოცდებიცააო.

გ.გ. — რამდენიმე წელია, ეროვნული გამოცდების მოდელია ისეთი, პრინციპია ისეთი, აბიტურიენტმა შეიძლება საერთოდ არ წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ (ასევე ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა...) და მიიღოს მაღალი შეფასება... სამწუხაროდ, ასეთი რეალობაა: გამოცდა არის ბარიერი; უმეტესად ამ ბარიერის გადალახვის ინტერესს მიჰყავს ბავშვი წიგნთან; მოხსნი ამ ბარიერს, ანდა გააიოლებ მის გადალახვას, აღარ მივა წიგნთან... ვიმეორებ: ეროვნული გამოცდების დღევანდელი მოდელის დამკვიდრებით თაობები დაღუპეს... იყვირე რამდენიც გინდა; პოლემიკა გავუმართე საგამოცდო ცენტრის მესვეურებს პრესაში; ვერ დაიცვეს თავიანთი ინიციატივები, არ ეყოთ ლოგიკა... „წისქვილი კი ისევ ისე ფქვავს“... საბოლოო შედეგი კი სავალალოა... მასობრივი უვიცობა, ეროვნული გამოთაყვანება... ეს პრობლემა არახალია, მაგრამ ამ შემთხვევაში პრობლემის ხანდაზმულობა საქმეს კიდევ უფრო ამძიმებს... ცხადია, დაფიქრდება კაცი: თუკი ყოველივე ეს ცნობილია, რა ხდება, რატომ არ იცვლება ვითარებაო? „განვითარებადი ქვეყნის“ სტატუსმა დიდად დაგვაზიანა. განათლებისა და მეცნიერების დონე ეკონომიკის დონის შესაბამისი უნდა იყოსო...აბა, რად უნდა ჩამორჩენილ ქვეყანას განათლების მაღალი სტანდარტები. სტატუსი საჭიროა იმისათვის რომ უცხოეთიდან გრანტები და დახმარებები შემოვიდეს. გრანტები და დახმარებები კი ყოველთვის არ მიდის საჭირო მიმართულებით. ნუღარ გავაგრძელებთ, ყოველივე ამან პრობლემები შეუქმნა განათლებას.

არაჩვეულებრივი თინათინი

თინათინ ჭიჭინაძეს სულ რამდენიმე სიტყვით დავახასიათებ - კეთილშობილი, სახიერად და სულიერად მშვენიერი, სამშობლოს ღირსეული შვილი.

ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო ვერ შევძელი და დიდ საუფლოში ვერ გავაცილე ქალბატონი თინათინ ჭიჭინაძე პატიაშვილისა. უფალს როგორ შევკადრო სამდურავი, ჩანს, არ უნდოდა მენახა ჩემი სიცოცხლეთ სავსე თინიკო იმ მდგომარეობაში, უამრავმა ხალხმა რომ ნახა, სიონის მარიამ ღვთიშობლის ტაძარში.

ახლობლებმა მითხრეს, ამდენი ადამიანი - ხაზს უსვამდნენ ე.წ. პოლიტიკური არჩევანის მრავალფეროვნებას - ერთად არ გვინახავსო. თურმე დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის წევრებიც კი ყოფილან და უამრავი გაკვირვებული ადამიანი „დაუშშვიდებიათ“ - ჩვენ აქ ქალბატონ თინა ჭიჭინაძის საპატივსაცემოდ ვართ მოსული, მან ბევრი ე.წ. „ზვიადისტის“ სიცოცხლე და მათი ოჯახებ იხსნაო. ჩანს, 1989 წლის 9 აპრილს იხსენებდნენ...

ჯუმბერ პატიაშვილის ბიძა აფხაზეთში ცხოვრობდა. ჯუმბერის მამა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოუკლავთ და ჯუმბერი ბიძასთან იზრდებოდა სოხუმში. იქ გაიცნეს ერთმანეთი ბატონმა ჯუმბერმა და ჩემმა მეუღლემ, ლადო ანდრონიკაშვილმა დაჩვენ ოჯახებით დავმეგობრდით. მე თინასთან, არაჩვეულებრივ, უაღრესად თავმდაბალ, კეთილშობილ ადამიანთან წლობით ვმეგობრობდი. მას ვერასოდეს შეატყობდით, რომ სახელმწიფოს პირველი პირის მეუღლე იყო, როგორც ახლა ამბობენ - „პირველი ლედი“.

თინათინი საუკეთესო მეგობარი გახლდათ. ჩვენ მრავალი ბედნიერი დღე გავატარეთ ერთად სოხუმში. ვმსჯელობდით ქვეყნისა და ჩვენი შვილების მომავალზე, მრავალ საჭირბოროტო პრობლემაზე. გავიდა დრო, ბევრი რამ შეიცვალა და, სამწუხაროდ, ჩვენს უმთავრეს ტკივილიან ნატვრად საქართველოს გამთლიანება იქცა.

თინიკო საუკეთესო შვილი, მეუღლე, დედა, ბებია და ამავდროულად უბადლო პროფესიონალი იყო. ის ღირსეულად ედგა მეუღლეს გვერდით და მისი ყველა ტკივილი და სიხარული გაიზიარა.

წავიდა ჩვენგან გამორჩეული ქალბატონი იქ, სადაც ერთიანი საქართველოს უამრავი სუკეთესო შვილია.

40 დღე გავიდა, ვიცი, მისი სული უფალთანაა და მჯერა, შესთხოვს მას, გააერთიანოს და გააბედნიეროს საქართველო!

მიყვარდი და მიყვარხარ ჩემო თინიკო, ჩვენო ძვირფასო თინათინ!

პატივისცემით

ლამარა ანდრონიკაშვილი

ლევან თედიაშვილი
ბეჭდაუდებელი ფალავანი

საქართველოს უამრავი ღირსეული მოჭიდავე ჰყოლია და, იმედია, ეყოლება კიდეც. ლევან თედიაშვილს მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ცხოვრებაშიც განსაკუთრებული ადამიანი იყო მსოფლიოს ხუთგზის და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. მისი ტიტულების ჩამოთვლას არ შევუდგებით, ყველა ქართველმა კარგად იცის, რა წარმატებებიც ჰქონდა. სამწუხაროდ, დღეს წარსულ დროში ვიხსენებთ განუმეორებელ ფალავანს, დიდ ადამიანს...

ხალიჩაზე გასვლის წინ მუდამ იღიმოდა, მოღუშულს ვერ ნახავდა ადამიანი. ცხრა წელი იყო სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი. მთავარ ჯილდოდ ლევან თედიაშვილს მშობლიური ხალხის სიყვარული მიაჩნდა და ხალხსაც გულწრფელად უყვარდა იგი, არამარტო როგორც სპორტსმენი, არამედ, როგორც პიროვნებაც. მეტოქეებიც პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევანის პრინციპულობა. ირანში მისი მოსყიდვა სცადეს, რათა შაჰის საყვარელი მოჭიდავე არ დაემარცხებინა. ლევანმა შაჰის საყვარელი ფალავანი მის ფეხებთან დასცა ბეჭებზე. ასეთი ვაჟკაცობისთვის მან შაჰისგან საჩუქრად ბეჭედი დაიმსახურა.

პატრიოტი იყო, უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, განსაკუთრებით — კახეთი. ხმამაღლა არაფერს ამბობდა, ჩუმად აკეთებდა თავის საქმეს. ვაჟკაცურად გადაიტანა შვილის, ვახტანგის სოხუმში დაღუპვა. მისმა ვაჟმა მამის ხელში დალია სული. ბევრი ადამიანი ასეთ ტრაგედიას ვერ გაუძლებდა, ლევანი კი ქვეყნის სამსახურს განაგრძობდა...

ლევან თედიაშვილის სული ჩვენი საამაყო ქართველების გუნდს შეუერთდა.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

„საერთო გაზეთი“



ორმაგი გამარჯვება – ორმაგი სიხარული

ბედნიერი და ისტორიული აღმოჩნდა 18 თებერვალი ქართული სპორტისთვის. **UFC-298**-ზე საჩემპიონო ქამარი ილია თოფურიამ მოიპოვა, რომელმაც ავსტრალიის წარმომადგენელი ალექს ვოლკანოვსკი ნოკაუტით დაამარცხა! ილია სპორტში ისტორიული პიროვნება გახდა. გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც — განსაკუთრებით შთამბეჭავია, როცა მოქმედ ჩემპიონს ნოკაუტით ამარცხებ. ილია თოფურიამ „მატადორზე“ 15 ორთაბრძოლა ჩაატარა და ყველა აშკარა უპირატესობით მოიგო.

ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში უკვე ყოფილმა ჩემპიონმა ალექსანდრ ვოკლანოვსკიმ ილიას ძლიერება აღიარა. „...მარჯვენა ხელით დამარტყა. ვინც უნდა იყო, ასეთ დარტყმას ვერ გაუძლებ, — განაცხადა მან პრესკონფერენციაზე და დაამატა, — ილია კარგი ბიჭია და სრული უფლება აქვს, იამაყოს. ვულოცავ!“ მეტოქისგან, რომელიც 5 წელი ფლობდა ჩემპიონის ტიტულს, მსგავსი შექება-შეფასება მრავლისმთქმელია. დამარცხებული მეტოქისგან ბევრ სპორტსმენს როდი რგებია ამგვარი აღიარება.



თავად ილიამაც ღირსეულად შეაფასა მეტოქე: „ალექსი ძალიან სწრაფად მოძრაობდა. ფეხით დარტყმებით გამაკვირვა და დრო დამჭირდა, რათა მისი სტილი შემესწავლა“, — თქვა პრესკონფერენციაზე ილიამ. ორთაბრძოლის შემდეგ ერთი სული ჰქონდა, ოჯახთან და გუნდთან ერთად აღენისნა წარმატება, რომლის მოსაპოვებლად მხოლოდ ორრაუნდიანი ბრძოლა დასჭირდა.

შედგება თუ არა მატჩ-რევანში, ამასე ილიამ ასე უპასუხა: „...ალექსი კარგი ადამიანია და ამიტომაც შემიძლია, კიდევ ერთხელ ვეჩხუბო. თუმცა, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება“. ესპანურმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ილია თოფურიას. „ილია თოფურიამ მეფე ტახტიდან ჩამოაგდო და ახალი ისტორია დაიწყო“, — წერს გამოცემა „სპორტი“.

ვიდრე ილია თოფურია საჩემპიონო ორთაბრძოლას ჩაატარებდა, კიდევ ერთმა მებრძოლმა მერაბ დვალიშვილმა საჩემპიონო ორთაბრძოლისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მისი მეტოქე 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰენრი სუხოდო გახლდათ.

ორთაბრძოლა მართლაც დაძაბული და სანახაობრივადაც საინტერესო იყო. პირველ რაუნდში ათლეტები ფრთხილობდნენ, ერთმანეთს აკვირდებოდნენ. მეორე რაუნდში მერაბის უპირატესობა აშკარად გამოჩნდა, მესამეში, საფინალო სიგნალამდე ორი წუთით ადრე მერაბმა მეტოქე, ფაქტობრივად, გაანადგურა. საბოლოო ჯამში, ორთაბრძოლა მისი გამარჯვებით დასრულდა.

ორთაბრძოლის შემდეგ მერაბ დვალიშვილმაც უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვებს, რომელმაც გულწრფელად ისაუბრა: „...ძალიან ამაყი ვარ გამარჯვებით, რადგან ბევრი ვიშრომე. იოლად არასოდეს არაფერი მიმიღია. თუმცა, როდესაც ბევრს იშრომებ, აუცილებლად დაგიფასდება“, — თქვა მერაბმა.

საინტერესოა, რომ მერაბის მხარდამჭერთა შორის ცნობილი ამერიკელი მილიარდერი მარკ ცუკერბერგიცაა. „...მე და მარკ ცუკერბერგი სოციალურ მედიაში მეგობრები ვართ. იგი ყოველთვის მხარს მიჭერდა და პოზიტიურ მესიჯებს მიგზავნიდა. დღეს შევხვდით ერთმანეთს. რაუნდებს შორის ჩემთან მოდიოდა და მესაუბრებოდა. ჩემი მეოთხე მწვრთნელი იყო“, — განაცხადა მერაბმა.

მერაბ დვალიშვილის ორთაბრძოლას თვალს ადევნებდა **UFC**-ის სუპერმსუბუქი წონის მოქმედი ჩემპიონი შონ ომალი. „ორთაბრძოლების ყურება დარბაზიდან უფრო საინტერესოა, ვიდრე ტელევიზიით. ახლა კიდევ ერთხელ მინდა ვნახო ჩანაწერი, რათა მერაბის ტექნიკა-ტაქტიკაზე მეტი წარმოდგენა მქონდეს. გიჟური ორთაბრძოლა იყო!“ — თქვა ომალიმ.

ქართველი ათლეტი ჩემპიონის ქამრისთვის იბრძოლებს, რომლის მეტოქეც შონ ომალისა და „ჩიტო“ ვერას შორის ორთაბრძოლაში გამარჯვებული იქნება. თავად მერაბს ომალისთან შეხვედრა სურს. „მომიყვანეთ შონ ომალი ახლავე მომიყვანეთ ეგ მსუქანი! მინდა, 10 რაუნდი ვიბრძოლო. ჩემპიონთან ჩხუბი მსურს! თუმცა, მნიშვნელობა არა აქვს, ვის შევებრძოლები. ნებისმიერს შევხვდები და დავამარცხებ“, — განაცხადა დვალიშვილმა.

„დღეს საქართველოსთვის ისტორიული მომენტია. საქართველოში ყველამ ადრე გაიღვიძა და ჩვენს ორთაბრძოლებს უყურებენ. ახლა იქ ზეიმია! აქაც ბევრი ქართველი მოვიდა ჩვენთან. ქართველებს უკვე გვყავს **UFC**-ის პირველი ჩემპიონი, რაც ბევრს ნიშნავს. ჩემი ქვეყანა ძალიან ამაყია!“ — თქვა მერაბ დვალიშვილმა და არც შემცდარა — მათი გამარჯვებებით ამაყობს, ზეიმობს სრულიად საქართველო! მუდამ გამარჯვებებით გევლოთ, ჩვენო საამაყო მებრძოლებო!

გია ბურდული

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. განაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99